ეკონომიკა

№ 4

ფასი 50 თეთრი

გაზეთი გამოდის ოთხშაბათს და პარასკევს

21-22 ნოემბერი

1996 წელი

10 დღეში ამოღებულია 4862 ათასი ტონა ნავთობი



"სოცეკონომინფორმმა" შეაჯამა მრეწველობის ფუნქციონირების 10 თვის შედეგები. იანვარ-ოქტომბერში მრეწველობის პროდუქციის მოცულობამ მოქმედ ფასებში 519,0 მლნ ლარი შეადგინა. წარმოების მოცულობა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შესადარ ფასებში 31,5 მლნ ლარით ანუ 6,9 პროცენტით გაიზარდა, რაც 1,7 პროცენტული პუნქტით მაღალია ცხრა თვეში მიღწეულ ანალოგიურ მაჩვენებელზე.

საშუალოზე მაღალი ტემპით ხასიათდება სათბობის (185,8%), ფერადი მეტალურგიის (121,8%), ქიმიური და ნავთობქიმიური (147,4%), მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების (123,3%), ხე-ტყის, ხის დამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის (117,2%), საშენი მასალების (135,8%), პოლიგრაფიული (191%) მრეწველობის მუშაობა. ამასთან, ამავე პერიოდში წარმოების მოცულობა შარშანდელთან შედარებით მკვეთრად შემცირდა შავი მეტალურგიის (16,5%) ფქვილბურღულეულისა და კომბინირებული საკვების (29,8%). მსუბუქი მრეწველობის (7,6%), სამედიცინო მრეწველობის (26,3%) დარგების საწარმოებში.

იანვარ-ოქტომბერში მომხმარებლისათვის გადატვირთულია საკუთარი წარმოების 472,6 მლნ ლარის პროდუქცია, მათ შორის საქართველოს ფარგლებს გარეთ 62 მლნ ლარის, აქედან დსთ-ს ქვეყნებში - 35,7 მლნ ლარის. ოქტომბრის ბოლოსათვის სამრეწველო საწარმოთა საწყობებში დაგროვილმა მზა პროდუქციის ნაშთების მოცულობამ 82 მლნ ლარი შეადგინა.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული საერთო ამონაგები 307,5 მლნ ლარია, აქედან საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაციიდან - 287,9 მლნ ლარი.

1996 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით არ მუშაობდა 688 სამრეწველო საწარმო, ანუ საერთო რიცხვის 30 პროცენტი, რომელთაგან 347 ანუ 16,2 პროცენტს საერთოდ არ უმუშავია წლის დასაწყისიდან. ა.წ. ოქტომბერში გაჩერდა 165 სამრეწველო საწარმო, ხოლო ახალი საწარმოების ჩათვლით ამუშავდა 123.

რაც შეეხება მდგომარეობას ნოემბრის პირველი დეკადის შედეგებით, მრეწველობის ცალკეული სექტორების მიხედვით, იგი ასეთია:

მრეწველობის დეპარტამენტის ოპერატიული მონაცემებით, მის სისტემაში შემავალი საწარმოების მიერ

(დასასრული მე-6 გვ.)

ნომერშია:

ძველი მენტალიტეტი უნდა შეიცვალოს გვ.3

«პრივატიზების მაცნე» გვ.4-5

მიიღებს რუსეთი 340 მილიონს? გვ.7

«გაზ»-ში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი გვ.7

პანორამა გვ.8

შეღავათიანი პირობები "სატყუარა" იყო

პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი "საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ", რომელიც შემუშავდა "საინვესტიციო საქმიანობისა" და "უცხოური ინვესტიციების შესახებ" არსებული კანონების შეჯერების საფუძველზე. პირველი კანონი ინვესტიციების შესახებ მიღებული იყო ჯერ კიდევ 1991 წლის 25 ივლისს, მეორე - 1995 წლის 30 ივნისს. ქვეყნის მიერ ხუთ წელიწადში კანონის სამჯერ შეცვლა დიდ უკმაყოფილებასა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს როგორც მეწარმეებში, ასევე საზოგადოებაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი თვალსაზრისი გამოთქვა პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ბატონმა თამაზ აქუბარდიამ.

- პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი ინვესტიციების შესახებ. რამ განაპირობა ძველი კანონების გაუქმება და რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან?

- ამ კანონების გაუქმება იმან გამოიწვია, რომ ჩვენ გვქონდა უცხოური ინვესტიციების შესახებ წინა პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, სადაც არსებობდა შეღავათები უცხოელებზე. ე.ი. უცხოელი ინვესტორები გაცილებით უკეთეს პირობებში იყვნენ ჩაყენებული, ვიდრე ქართველი, ადგილობრივი ინვესტორები. პოლიტიკური გამართლება ამ საკითხს ჰქონდა: ჩვენს ქვეყანაში იმდენად მძიმე სიტუაცია იყო, რომ უნდა გადაგვედგა ნაბიჯი, რომლითაც შევძლებდით ინვესტორთა მოზიდვას. მოზიდვა იმის ხარჯზე მოხდა, რომ უცხოე-

(დასასრული მე-2 გვ.)

გუდაურში საქმიანი შეხვედრა ჩატარდა

თვითმმართველობის და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტის აპარატის უფროსი სპეციალისტი ბ-ნი **დავით გვენეტაძე** *ესაუბრა ჩვენს კორესპონდენტს.*

როგორც ბ-ნმა დავითმა განაცხადა, კანონპროექტი "ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი საფუძვლების შესახებ" დეპუტატების მიერ სამი დღის განმავლობაში მიმდინარე შეკრებაზე იქნა გუდაურში განხილული. საქართველოს მხრიდან სემინარზე მივლინებული იყვნენ პარლამენტის სპიკერი ბ-ნი ზურაბ ჟვანია და თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი თამაზ ბოლქვაძე. სემინარის ორგანიზატორს ეროვნული დემოკრატიის ინსტიტუტი წარმოადგენდა, ხოლო დაფინანსება ამერიკის მხარემ ითავა. აღნიშნული კანონის განხილვის შედეგად მოხდა ძირითადი მონაკვეთების შეჯერება, რაზეც ლაპარაკი იყო დელეგაციის ჩამოსვლის შემდეგ ორშაბათს, 18 ნოემბერს საქართველოს პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე. როგორც განაცხადეს, გუდაურში ჩატარებულმა სემინარმა ნაყოფიერად ჩაიარა, გამოვლინდა საქართველოს ადგილობრივ მმართველობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ასპექტები. კერძოდ, პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ ადგილობრივი გამგეობები იქნება არჩევითი. ასევე მოსახლეობის მიერ აირჩევა ქალაქის მერიც. საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, იარსებებს თუ არა მხარეები, ეს გაირკვევა მას შემდეგ, რაც დაიწერება კანონი "საქართველოს რეგიონების შესახებ".

თვით კანონპროექტი "ადგ-

(დასასრული მე-2 გვ.)

სახელმწიფო ქონების პრივატიზება ინტენსიურად ხორციელდება

გაიმართა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საკონსულტაციო ეკონომიკური საბჭოს მორიგი სხდომა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე უძღვებოდა.

ქვეყანაში პრივატიზებული სამრეწველო საწარმოების ფუნქციონირების ანალიზისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებების გარშემო ისაუბრა ეკონომიკის მინისტრმა ვლადიმერ პაპავამ. მანვე წარმოადგინა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი "პრივატიზებულ საწარმოთა საქმიანობის ეკონომიკური შედეგების გაუმჯობესების შესახებ".

აღინიშნა, რომ სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა და მისი პრივატიზაცია ყველა შესაძლო ფორმით ინტენსიურად განხორციელდა ისეთ დარგებში, როგორიც არის მრეწველობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, საავტომობილო ტრანსპორტი, დამზადება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, საცალო ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება, საბინაო მეურნეობა, ფასიანი საყოფაცხოვრებო მომსახურება.

პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრიობა არსებითად არ შეხებია სარკინიგზო, ნავთობსადენ და გაზსადენ ტრანსპორტს, საგზაო ფონდებს, კავშირგაბმულობას, სოციალურ დარგებს (გარდა ჯანმრთელობის დაცვისა, სადაც ეს პროცესი ამჟამად მიმდინარეობს), მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურების, კულტურისა და ხელოვნების, ზოგიერთ სხვა არასაწარმოო დარგსა და აგრეთვე, ქვეყნისათვის სტრატეგიული დანიშნულების ქონებას.

ვლადიმერ პაპავას განცხადებით, დღეს საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობის შედეგები საერთოდ უნდა განიხილებოდეს პრივატიზებულისა და არაპრივატიზებულის ერთმანეთისაგან გამოყოფის გარეშე, რადგან საერთო საკანონმდებლო ბაზის გარდა, მათთვის მაკროეკონომიკური გარემოც თანაბარია.

სამწუხაროდ, მაკროეკონომიკური გარემო საწარმოთა საწესდებო კაპიტალის ტექნიკური და ტექნოლოგიური შემადგენლობის უადრესად მოძველებული სტრუქტურით არის გაჯერებული, რომელიც კონკურენტუნარიანი ნაწარმის დამზადების საშუალებას არ იძლევა, ენერგეტიკული კრიზისით (უპირატესად ზამთრის სეზონში), მატერიალურ და ფულად საბრუნავ საშუალებათა ქრონიკული მწვავე უკმარისობით, პროდუქციის გასაღების ბაზრის უქონლობით, ტრადიციულ მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან ეკონომიკური კავშირების გაწყვეტით, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ფაქტორებით განპირობებული ეკაუუმით და ა.შ. ჩამოთვლილი ფაქტორები დღეს ყველა მეწარმეზე უარყოფითად მოქმედებს და სახელმწიფო სექტორთან შედარებით კერძო კაპიტალის უპირატესობათა გამოვლინების საშუალებას არ იძლევა. პაპავას აზრით, იმის გამო, რომ გიგანტი-საწარმოების რესტრუქტურიზაციის მიზნით კარდინალური ზომების მიღება დღემდე ჭიანურდება და მათი ღრმა რეფორმირება არ ხდება, უცხოეთის ინვესტიციები ჩვენს ეკონომიკაში იგვიანებს ან შემოდის მცირე ზომით და თანაც უხალისოდ.

პაპავას თქმით, საკითხი ვართის შესახებ მეჩდრიდ უკავშირდება გამოუყენებელი და ზედმეტი მანქანა-დანადგარების ჩამოწერას. დღეს მრავალი მოსაგვარებელი პრობლემაა ვართის ბაზარზე.

პრივატიზების პროცესმა გარკვეული გამოცოცხლება გამოიწვია ნავთობმოპოვებით მრეწველობაში. ამ სფეროში განსახელმწიფოებრიობა ერთობლივი საწარმოების შექმნის გზით წარიმართა: ჩამოყალიბდა ქართულ-ბრიტანული ნავთობის კომპანია, ნავთობისა და გაზის მოპოვების ერთობლივი საწარმო "გრანს ჯორჯიან პეტროლიუმ".

სხდომაზე დააყენეს საკითხი საქართველოში შეიქმნას პოსტპრივატიზებულ ობიექტებთან მუშაობის ცენტრი, რომელშიც ერთობლივად იმუშავებენ ქართველი და უცხოელი სპეციალისტები. პაპავას ამ აზრს პრეზიდენტიც დაეთანხმა.

სამჭოს სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი პრივატიზების პროცესის მნიშვნელობას და განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული ანტიკრიზისული პროგრამის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს. სწორედ პრივატიზების პროცესმა შეუ-

(დასასრული მე-2 გვ.)

ნომერშია:

ᲨᲔᲦᲐᲕᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ "ᲡᲐᲢᲧᲣᲐᲠᲐ" ᲘᲧᲝ



(დასასრული)

ლები ჩვენ ჩავაყენეთ უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე ჩვენი ინვესტორები. ამან გარკვეული როლი შეასრულა: სამოც მილიონამდე ამერიკული დოლარი, ინვესტიციების სახით შემოვიდა საქართველოში. მაგრამ თუ ქვეყანაში მეტ-ნაკლებად სტაბილური მდგომარეობაა, როგორც წესი, აუცილებელია უცხოელიც იგივე მდგომარეობაში იყოს, როგორშიც ადგილობრივი. ის, რომ უცხოელთათვის შეღავათიანი პირობები იყო შექმნილი, მხოლოდ და მხოლოდ ეჭვს იწვევდა მათში.

თავდაპირველი ვარიანტით ვაპირებდით ცვლილებების შეტანას 21-ე მუხლში, რომელიც ამ შეღავათებს არეგულირებდა. მაგრამ ამ მუხლის მექანიკური ამოღება არ ხერხდებოდა, რადგან მასთან ძალიან ბევრი სხვა მუხლი იყო დაკავშირებული. ე.ი. სხვა მუხლებშიც არაპირდაპირ მაინც ცვლილებები უნდა შეგვეტანა. ამიტომ ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ, კომიტეტის თავმჯდომარემ მიიღო გადაწყვეტილება, ცხადია, საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონსულტაციების შემდეგ, კანონის შეცვლის თაობაზე.

- მაგრამ ახალი კანონის შექმნა უფრო მეტ დროსა და ენერგიას მოითხოვს, ვიდრე ძველის შეცვლა. ე.ი. ამ კანონს რაღაც უპირატესობები გააჩნია, რახან ის მიღებული იყო?

- გააჩნია, როგორ შევხედავთ ამ საკითხს. მე არ ვიცი, ამას უპირატესობა ჰქვია თუ არ ჰქვია. მთავარია, არსებობდა ძირითადი იდეა, უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების პირობების გათანაბრების შესახებ. ხოლო კარგია ეს თუ ცუდი, ამაზე ცალსახა პასუხის გაცემა ძალიან ძნელია. უცხოელთათვის შეიძლება კარგი არც იყოს, შეიძლება ჩვენთვის იყოს კარგი. ფაქტი ის არის, რომ ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ხდება.

იმ უპირატესობამ, რომელიც ძველ კანონში იყო ჩადებული, მაინც ვერ გაამართლა. ის იმდენად დიდ უპირატესობას არ იძლეოდა, რომ მისი დატოვება ყოფილიყო შესაძლებელი. 60 მილიონი არ არის პატარა თანხა, მაგრამ არც იმდენია, რომ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე რამე ზეგავლენა იქონიოს. მართალია, კანონი ცოტა ხანი მოქმედებდა, მაგრამ ჩვენს პირობებში წელიწადნახევარი პატარა დრო არ არის. კანონმა თავისი პოზიტიური როლი შეასრულა და უკვე მისი შეცვლა აუცილებელი იყო. ყოველი ინვესტორი ეჭვის თვალით უყურებს იმ ქვეყანას, რომელიც უცხოელს უკეთეს პირობებს თავაზობს. ასე რომ, ძირითადი მიზეზი ამ კანონის შეცვლის, მასში ჩადებული უპირატესობებით გამოწვეული ეჭვი იყო.

- იმ ინვესტიციების მიმართ, რომლებიც უკვე დაფიქსირებულია საქართველოში, შენარჩუნებული იქნება თუ არა შეღავათები და რატომ?

- კანონს უკუქმედების ძალა არ გააჩნია. ეს საყოველთაოდ მიღებული ნორმაა. ცვლილებები შეეხებათ მხოლოდ მათ, ვინც დღეიდან და მერე მიიღებს ლიცენზიას. მაგრამ აქ უკვე მეორე პრობლემა ჩნდება. ადრე შექმნილი და ახლადშექმნილი ინვესტიციები არათანაბარ პირობებში არიან და ეს არათანაბარი პირობები შეიძლება მთელი ხუთი წელი გაგრძელდეს. თავდაპირველად იანვრამდე ვაპირებდით ლიცენზიების გაცემას, ე.ი. მათთვის, ვინც პირველ იანვრამდე მოასწრებდა გატარებას რეგისტრაციაში შეღავათები შენარჩუნებული იქნებოდა. ამან გამოიწვია მსურველთა დიდი ნაკადი, რამაც თავის თავად ეჭვი დაბადა - რატომ? ეს ძალიან მარტივი ასახსნელია. ისევე და ისევე ადგილობრივი მეწარმეები ხსნიდნენ საზღვარგარეთ ფიქტიურ ფირმებს, რის მეშვეობითაც ღებულობდნენ ძველი კანონით გათვალისწინებულ შეღავათებს. ამიტომ კანონის გამოქვეყნებისთანავე, ანუ 20 ნოემბრიდან გაუქმდება ყოველგვარი ლიცენზიების გაცემა შეღავათებზე.

- თქვენის აზრით, ახალი კანონი არ შეაფერხებს ინვესტიციების მოზიდვას?

- საქართველოს არავინ იცნობს, ისეთ მეზობელ ქვეყანაშიც კი, როგორიც თურქეთია. ისევ და ისევ ჩვენი მეწარმეები ეძებდნენ უცხოელ ინვესტორებს, რომელთათვის შეღავათიანი პირობები "სატყუარა" იყო. მაგრამ ამ სატყუარას გარკვეული დროის შემდეგ უკუეფექტი ჰქონდა - არცერთი სერიოზული ფირმა არ წამოვიდა საქართველოში სწორედ ამ შეღავათიანი პირობების არსებობის გამო. უცხოელმა ინვესტორმა საქართველოში წარმოება რომ გაუშვას, მას ბევრად ნაკლები დასჭირდება ქართველი მუშის შრომის ასანაზღაურებლად. ეს უკვე დიდი შეღავათია, რომელიც დამატებითს არ საჭიროებს.

კიდევ ერთი რამ მინდა აღვნიშნო. ამ კანონის შემუშავებაში დავით ონოფრიშვილს მიუძღვის უდიდესი ღვაწლი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მან მთელი პასუხისმგებლობა იმაზე, რომ მას ახალი კანონის სახე მისცემოდა და არა მხოლოდ ცვლილებები შეგვეტანა, საკუთარ თავზე აიღო. ბატონი დავითი სულ სხვა საქმეზე იყო გამოძახებული ამერიკაში, სადაც ამერიკელ ექსპერტებთან ერთად ორი დღე და ღამე იმუშავა ამ კანონზე. აღმასრულებელი ხელისუფლება მხოლოდ ცვლილებების შეტანას გვთავაზობდა. მაგრამ დავით ონოფრიშვილმა დაამტკიცა და დაასაბუთა, რომ ცვლილებების შეტანას, ახალი კანონის შემუშავება ჯობდა. ასე რომ, ჩემი მხრიდან იქნებოდა აბსოლუტური უტაქტობა, რომ ამაზე ხმა არ გამესვა.

ერთი სიტყვით, საქართველოს კიდევ ერთი სრულყოფილი კანონი აქვს.

ესაუბრა
ᲔᲙᲐ ᲚᲝᲗᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(დასასრული)

წყო ხელი მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბებას.

ახლა, როდესაც პრივატიზების მეორე ეტაპი იწყება, მეტად მნიშვნელოვანია მოსალოდნელი შემოსავლების წინასწარი გაანგარიშება და ბიზნესის განვითარების ფონდის შექმნა. ასევე აუცილებელია პრივატიზების შედეგად სოციალურ სფეროში მიღწეული დადებითი ძვრების შესახებ სათანადო ინფორმაციის გამოქვეყნება.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲔᲑᲐ ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲣᲠᲐᲓ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ

პრეზიდენტმა ისაუბრა ჯვარის შესახებაც. მისი განცხადებით, პრობლემა თავისთავად უკავშირდება მეტალურგიასა და კერძოდ, მეტალურგიული ქარხნის შემდგომ ბედს, რისთვისაც მიზანშეწონილია ნედლეულის იმ მოცულობის განსაზღვრა, რომელსაც აღნიშნული ქარხანა გადაამუშავებს, ხოლო შემდგომ შესაძლებელი გახდება დარჩენილი რაოდენობის საზღვარგარეთ გატანა.

ბატონი ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, აუცილებელია სახელმწიფოს ფუნქციის მკვეთრი განსაზღვრა - გამოიკვეთოს ის პერსპექტიული საწარმოები, რომელთა პროდუქცია ადგილს დამკვიდრებს ბაზარზე, რადგან დღეს უმთავრეს ამოცანას სწორედ ბაზრის მოპოვება წარმოადგენს.

რაც შეეხება უცხოური ინვესტიციებისა და კრედიტების გამოყენების მდგომარეობის შესახებ მომზადებულ მეორე მხარეს, მისი განხილვა გადაწყდა სპეციალურ სხდომაზე, რადგან აღნიშნული მეტად სერიოზულ და მნიშვნელოვან პრობლემებს უკავშირდება.

ქონების მართვის მინისტრმა ავთანდილ სილაგაძემ განაცხადა, რომ მრავალი პრივატიზებული ობიექტი დღეს წარმატებით ართმევს თავს მათ წინაშე მდგარ ამოცანებს. მრავალმა მესაკუთრემ გაუმჯობესა მუშობა, გაზარდა პროდუქციის ასორტიმენტი, მომსახურების კულტურა, კეთილმოწყო შენენილი საწარმოები და მიმდებარე ტერიტორიები, საწარმოთა ახალი მესაკუთრეები ეწევიან საქველმოქმედო საქმიანობას, ბევრ ობიექტში მიმდინარეობს კაპიტალური სარემონტო სამუშაოები შიდა და გარე იერსახის და ინტერიერის კეთილმოწყობის მიზნით.

სამაზრო ეკონომიკის პირობებში წარმატებით საქმიანობს ქ. თბილისის ხილეული წყლების გაერთიანება "კოკა-კოლა-კეკასიონი", დიდების რძის ქარხანა (ამჟამად საალციო საზოგადოება "ამალთეა"), ფირმა "შეგატა-სტანდარტი" (ქარხანა ჰიდრომეტხელსაწყო), შპს "პოლიგრაფისტი" (ქ. თბილისის № 1 სტამბა), შპს "აია" (ქუთაისის ლუდისა და ხილეული წყლების ქარხანა), "ორპირის გრანიტის ქვის დამამუშავებელი საამქრო", სიოჯარო საწარმო "ტეშენიტი", ზაშურის სს "ხურამის ღვინის ქარხანა", სს "რექთიფიკატი" (ვოდის სპირტის ქარხანა), სენაკის ჩაის ფაბრიკა, ხონის ჩაის ფაბრიკა, ვაზიანის ღვინის ქარხანა, მცხეთის კერამიკულ ნაკეთობათა ფაბრიკა, გურჯაანის, სს "ჯანდარი" (ჯანდარის ღვინის კომბინატი), სს "ვარნყანი" (ვარნყანის ღვინის ქარხანა), სს "ოსტანკინო", ბათუმის ახალგაზრდა ტურისტთა "ბულბულა", "ბოლნისი", სს "ალაზანი" (ალაზანი) "ბოლნისი", "ბოლნისი", "ბოლნისი",

ძველი მენტალიტეტი უნდა შეიცვალოს

თემურ კვინტრაძე - დაიბადა 1948 წელს. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიული ფაკულტეტი. განაწილებით დაიწყო მუშაობა საავიაციო ქარხანაში, სადაც გაიარა გზა რიგითი ტექნოლოგიდან მთავარ მეტალურგამდე. ქარხანაში გახდა სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. აქვს 12 გამოგონება. შემდეგ მუშაობდა საქალაქო კომიტეტში მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების უფროსად. 1990 წლიდან დაიწყო მუშაობა კერძო სტრუქტურებში. მუშაობდა საქართველო-ავსტრიის ერთობლივ ფირმაში. აქტიურად საქმიანობდა საქართველოში უცხოური ინვესტიციების მიზიდვის ხაზით.

1996 წლის თებერვლიდან მუშაობა დაიწყო სახელმწიფო კანცელარიაში მრეწველობის საკითხთა საკონსულტაციო ჯგუფის უფროსად. ამჟამად სექტორული ეკონომიკის განყოფილების უფროსია.

- ბატონო თემურ, რას წარმოადგენს თქვენი განყოფილება?

- სექტორული ეკონომიკის განყოფილება აერთიანებს მრეწველობის, მშენებლობის, კომუნიკაციებისა და ენერგეტიკის საკითხებს. ჩვენი ძირითადი ფუნქციაა კანცელარიაში გავუწიოთ კოორდინაცია ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტის მუშაობას, გავაკონტროლოთ პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის სხვადასხვა უწყებებსა და სამინისტროებზე დავალებების შესრულების მიმდინარეობა. გარდა ამისა, ვამზადებთ ჩვენს მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხზე, რომელიც შემოსულია კანცელარიაში პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის სახელზე. პრაქტიკულად, სექტორული ეკონომიკის, ანუ შეიძლება ითქვას მიკროეკონომიკის პრობლემების გადაწყვეტა გართულებულია, იმიტომ, რომ საერთო დესტაბილიზაციამ, რომელიც საქართველოში სუფევდა, ყველაზე დიდი გავლენა ზემოთ ჩამოთვლილ დარგებზე მოახდინა.

დღეისათვის მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია მიღწეულია. ლარის სტაბილურობამ საკმაოდ დადებითი გავლენა იქონია მეწარმეობისა და საერთოდ, ეკონომიკის განვითარებაზე, მაგრამ არსებული სირთულეები, როგორიცაა საკრედიტო ბაზრის უქონლობა და კრედიტების დიდი განაკვეთი, სერიოზულ პრობლემებს უქმნის მცირე ბიზნესის და მეწარმეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას.

- ამჟამად დიდი სირთულეებია ენერგეტიკის სფეროში.

- ამის მიზეზი საკმაოდ ნათელია. სახელმწიფოს ბიუჯეტში ფული არა აქვს, რომ მოსახლეობის დავალიანება დაფაროს. მოსახლეობა კი თავისი ჯიბიდან არ იხდის. კი ბატონო, მათი შემოსავალიც დაბალია, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ხალხი უკვე შეეჩვია წლების განმავლობაში იმას, რომ თუ არ გადაიხდიდა ადასახადს, ამით ქვეყანა არ დაიქცეოდა. ახლა უკვე სხვა დროა. უფასოდ ვერავინ ვერაფერს ვერ მიიღებს. კონკრეტულ მაგალითს მოგახსენებთ. პრაქტიკულად დღეს გაზის მიწოდების საშუალება არის, მაგრამ იმის გამო, რომ გადახდისუნარიანობა დაბალია, ოჯახებს გაზი არ მიეწოდება.

- როგორ ფიქრობთ, როდის მოხდება საქართველოში უცხოური ინვესტიციების ფართომასშტაბიანი შემოსვლა?

- საქართველოს ეკონომიკა რომ აღმავლობის გზაზეა, ამაზე ალბათ ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ თამამად შეიძლება თქმა, რომ ინვესტიციების მოზიდვისა და ღრმა რესტრუქტურიზაციის გარეშე ჩვენი მრეწველობის გამოცოცხლება ძალიან რთული იქნება.

- ქართველი დირექტორები ხშირად ჩივიან, რომ მაღალი საგადასახადო განაკვეთები აფერხებს მათ მუშაობას.

- ასე ხელაღებით ამის თქმა არ შეიძლება. შეიძლება ისინი გარკვეულწილად სიმართლეს ამბობენ. შეიძლება ზოგიერთი გადასახადი მაღალია, ზოგიერთი დაბალი. მაგრამ მარტო ეს არ უნდა იყოს მიზეზი.

მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირის არსებობის დროს საწარმოების მომარაგება ცენტრალიზებულად ხდებოდა და პროდუქციის განაწილებაზეც მოსკოვი ზრუნავდა. ერთი სიტყვით, იმის სრული გარანტია იყო, რომ ქარხანასა თუ ფაბრიკას თავისი სიმძლავრის 90-95 პროცენტის დატვირთვით ემუშავა. ახლა ბევრ დირექტორს სურს, რომ თავისი, უკვე საკუთარი, საწარმო ასეთივე რიტმით დატვირთოს.

შეიძლება ცოტა უხერხულია სათქმელად, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი დირექტორთა კორპუსის საკმაოდ დიდი ნაწილი ძნელად შეეჩვია დღევანდელ სიტუაციას. ისინი არ არიან ადაპტირებულები საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე. მათ კარგად ვერ გაიგეს, რომ ახლა სხვა დროა.

მიაქციეთ ყურადღება, ბევრი დღეღამე გაიძახის "ბაზარი დაიცავით, ბაზარი მომეცით". როგორ გავიგოთ ეს? ხომ არ ნიშნავს იმსა, რომ ვერ ეგუებიან დღევანდელობას? ბაზრის დაპყრობა მხოლოდ ხარისხით და რაოდენობითაა შესაძლებელი. ბუნებრივია, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებას ზრდის და მას არაკონკურენტუნარიანს ხდის.

შეიძლება ჩემი ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ არსებობს ბამბის სართავი ფაბრიკა,აგრეთვე სამკერვალო ფაბრიკები. ხომ დასაშვებია, რომ ისინი გარკვეულწილად ერთ ტერიტორიაზე მოვათავსოთ, რაც ხელს შეუწყობს მათი დატვირთვის გაზრდას. მოგეხსენებათ, ინდიკატორული გეგმის თანახმად 2000 წლისთვის ისინი სიმძლავრის 30-35%-ით უნდა ამუშავდნენ.

- კი მაგრამ, იმ დიდი ტერიტორიის მფლობელი საწარმოს დირექცია ამას თუ დაეთანხმება?

- ალბათ უნდა დათანხმდეს, სხვა გამოსავალი როცა არ იქნება.

- ბატონო კვინტრაძე, ქვეყნის მრეწველობას ძალიან უჭირს. კონკრეტულად თუ აქვს თქვენს სამსახურს გეგმები ამ მიმართულებით?

- ჩვენ ვმუშაობთ მრეწველობის განვითარების საკითხებზე. ჩემი აზრით, არ უნდა შეგვეშინდეს ძალიან თამამი ნაბიჯის გადადგმისა. რეფორმა ამას თავისთავად გულისხმობს. შეუძლებელია სხვაგვარად დადებითი შედეგების მიღება.

- როგორც ცნობილია, ძალიან უჭირს მსუბუქ მრეწველობას.

- საბჭოთა კავშირის დაშლამ ძალიან დიდი დაღი დაასვა მსუბუქ მრეწველობას საქართველოში. როგორც მოგახსენეთ, ნედლეულით მომარაგება მრეწველობაში ცენტრალიზებული გზით ხდებოდა. განსაკუთრებით ეს მსუბუქ მრეწველობას შეეხებოდა.

კონკრეტულ მაგალითს მოგახსენებთ. ენერგეტიკაზე გაწეული ხარჯები, ისეთ გიგანტში, როგორიცაა მაუდი, კოლოსალურია, რადგან პრაქტიკულად საწარმო მუშაობს 5-10%-ის სიმძლავრის დატვირთვით. წყლის რაოდენობას დაახლოებით იგივეს მოიხმარს, რაც ადრე სჭირდებოდა. საქვაბეც ზუსტად იგივე მუშაობს.

- გამოსავალს რაში ხედავთ?

- ოპტიმალური ვარიანტი უნდა მოიძებნოს. მე ამ საკითხზე საკუთარი აზრი გამაჩნია. საწარმოს 10 ჰა ტერიტორია აქვს და უზარმაზარ ქონების გადასახადს იხდის. ასევე სხვა გადასახადებიც ასტრონომიულ თანხებს აღწევს. ეს, სახელმწიფო, რა თქმა უნდა, ვერ ეტყვის უცხოელებს (ან ქართველებს, რომლებსაც უცხოური საქონელი შემოაქვთ) განსაზღვრული რაოდენობით საქონელი შემოიტანეთო.

- ასეთ შემთხვევაში დასავლეთი ალბათ ჩვენთან არაანაირ ურთიერთობებზე არ წამოვა.

- ბუნებრივია, შედეგი საეალალო იქნება.

- დღეს ქვეყნის მრეწველობას ძალიან უჭირს. კონკრეტულად თუ აქვს თქვენს სამსახურს გეგმები ამ მიმართულებით?

- ჩვენ ვმუშაობთ მრეწველობის განვითარების საკითხებზე. ჩემი აზრით, არ უნდა შეგვეშინდეს ძალიან თამამი ნაბიჯის გადადგმისა. რეფორმა ამას თავისთავად გულისხმობს. შეუძლებელია სხვაგვარად დადებითი შედეგების მიღება.

- როგორც ცნობილია, ძალიან უჭირს მსუბუქ მრეწველობას.

- საბჭოთა კავშირის დაშლამ ძალიან დიდი დაღი დაასვა მსუბუქ მრეწველობას საქართველოში. როგორც მოგახსენეთ, ნედლეულით მომარაგება მრეწველობაში ცენტრალიზებული გზით ხდებოდა. განსაკუთრებით ეს მსუბუქ მრეწველობას შეეხებოდა.

კონკრეტულ მაგალითს მოგახსენებთ. ენერგეტიკაზე გაწეული ხარჯები, ისეთ გიგანტში, როგორიცაა მაუდი, კოლოსალურია, რადგან პრაქტიკულად საწარმო მუშაობს 5-10%-ის სიმძლავრის დატვირთვით. წყლის რაოდენობას დაახლოებით იგივეს მოიხმარს, რაც ადრე სჭირდებოდა. საქვაბეც ზუსტად იგივე მუშაობს.

- გამოსავალს რაში ხედავთ?

- ოპტიმალური ვარიანტი უნდა მოიძებნოს. მე ამ საკითხზე საკუთარი აზრი გამაჩნია. საწარმოს 10 ჰა ტერიტორია აქვს და უზარმაზარ ქონების გადასახადს იხდის. ასევე სხვა გადასახადებიც ასტრონომიულ თანხებს აღწევს. ეს, ბუნებრივია, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებას ზრდის და მას არაკონკურენტუნარიანს ხდის.

შეიძლება ჩემი ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ არსებობს ბამბის სართავი ფაბრიკა,აგრეთვე სამკერვალო ფაბრიკები. ხომ დასაშვებია, რომ ისინი გარკვეულწილად ერთ ტერიტორიაზე მოვათავსოთ, რაც ხელს შეუწყობს მათი დატვირთვის გაზრდას. მოგეხსენებათ, ინდიკატორული გეგმის თანახმად 2000 წლისთვის ისინი სიმძლავრის 30-35%-ით უნდა ამუშავდნენ.

- კი მაგრამ, იმ დიდი ტერიტორიის მფლობელი საწარმოს დირექცია ამას თუ დაეთანხმება?

- ალბათ უნდა დათანხმდეს, სხვა გამოსავალი როცა არ იქნება.

- მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში საკმაოდ ძველი მანქანა-დანადგარებია დამონტაჟებული, რომლებმაც თავისი რესურსი კარგა ხანია ამოწურეს და ახლა "იძულების წესით" ამუშავებენ. ხომ შესაძლებელია საბრუნავი საშუალებების შესავსებად მათი ნაწილის გაყიდვა მოხდეს.

- ამ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა. ეკონომიკის სამინისტრო ბოლოს და ბოლოს ალბათ მოგვაწვდის შესაბამის მასალებს. საბრუნავი სახსრების შესავსებად შეიძლება მათი ნაწილის ჩამოწერა და გაყიდვა. ზოგიერთი ჯართადაც გაიყიდება. შეიძლება ცალკეულმა პიროვნებებმა მოისურვონ მათი შეძენა. ამ ვიზების გამოძებნა შეიძლება და ვფიქრობ, სასარგებლოც იქნება.

- ამბობენ, საქართველოში 500 ათას ტონამდე ჯართია?

- ფაქტია, რომ ქვეყანაში საკმაო რაოდენობით ჯართია დაგროვილი. მისი გამოყენება საკმაოდ ეფექტურად შეიძლება. არსებობს მეწარმეობისა და მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი. ჯართიდან შემოსული სახსრები შეიძლება ამ კუთხითაც გამოვიყენოთ.

- შესაძლო თანხის რაოდენობა თუ გიანგარიშიათ?

- ჩვენი გამოთვლებით საკმაო რაოდენობითაა, რომელიც მეწარმეობის განვითარებას ძალიან წაადგება.

- საბჭოთა კავშირი რაც დაშლის პირას მივიდა, რუსეთი ძალიან დიდი საშიშროების წინაშე დადგა. საზღვრების გახსნამ ბევრი მაღალი კლასის სპეციალისტს გაუჩინა სურვილი მაღალი ანაზღაურების საფასურად საზღვარგარეთ წასულიყო სამუშაოდ. თავდაპირველად ხელისუფლება ცდილობდა ეს პროცესი დაებალანსებინა, მაგრამ "ინტელექტის გაქონვამ" ისეთ კატასტროფულ მასშტაბებს მიაღწია, რომ ამაზე პრესასა და ტელევიზიაში ყოველდღე საუბრობდნენ. დღეს, ვფიქრობ საქართველოც ამ საშიშროების წინაშე დგას.

- ჩვენ ძალიან მცოდნე და განათლებული ახალგაზრდობა გვყავს. მე მიმაჩნია, რომ მათ არ ვიყენებთ. არადა, ეს აუცილებელია. სამსახური აქტიურად მუშაობს ძალიან აქტიურ და ინტელექტუალურ ახალგაზრდებთან, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად უცხო ქვეყნების უნივერსიტეტები დაამთავრეს. ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა შემოგვთავაზა თავისი მოსაზრება სახელმწიფო კონტრაქტებისა და სუბკონტრაქტების შემუშავების და განაწილების საკითხის შესახებ. უკვე გავეცანი მათ წინადადებებს და მიმაჩნია, რომ მისაღებია. ალბათ, ეს წესიც შემოსაღები იქნება.

- რას შეუწყობს იგი ხელს?

- ეს ერთგვარი სახელმწიფო გარანტია. შესაძლებელი გახდება ბანკებიდან კრედიტის აღება და ა.შ. დავუშვათ, ჯარს სჭირდება განსაზღვრული რაოდენობით ტანსაცმელი. მეწარმეს ხშირ შემთხვევაში იმდენი თავისუფალი სახსრები არ გააჩნია, რომ ნედლეული თვითონ იყიდოს. თავდაცვის სამინისტრო კი ბიუჯეტზეა დამოკიდებული და წინასწარ ვერ გადაიხდის სამუშაოს ღირებულებას. ბანკი დღეს ხშირ შემთხვევაში იმიტომ არ აძლევს მეწარმეს ფულს, რომ უკან დაბრუნების გარანტია არა აქვს. აქ უკვე სახელმწიფო გარანტია დიდ როლს ითამაშებს.

- ძალიან მძიმე მდგომარეობაშია საქართველოს ენერგეტიკაც.

- დიდი მუშაობა დაიწყო ენერგეტიკის სექტორის რესტრუქტურიზაციისა და პრივატიზაციის განხრითაც. მიმაჩნია, რომ უახლოეს პერიოდში ეს პროცესი თავის დადებით შედეგს გამოიღებს. ენერგეტიკა, მოგეხსენებათ, ძალიან ძალიან ძნელად აღსადგენი და "ფინანსტევადი" დარგია და მისი ერთი ხელის მოსმით აღდგენა რთული იქნება. შარშანდელთან შედარებით ელექტროენერგიის დეფიციტის შემცირების კუთხით გარკვეული წინსვლა უკვე სახეზეა. ამას განსაკუთრებით შეუწყობს ხელს პრივატიზება.

- გარდაბნის გრესთან დაკავშირებით რა ინფორმაცია გაქვთ?

- გარდაბნის გრესი პრაქტიკულად მზად არის. სამივე აგრეგატი მუშაობს. გაზის მოწოდების საკითხიც ნაწილობრივ გადაწყდა. ყოველ შემთხვევაში, დღეს ნორმალური სიტუაციაა.

- თბილისის მოსახლეობისთვის "საარაკო" მე-9 ბლოკი რა მდგომარეობაშია?

- იგი მზად არის ტექნიკურად და უკვე მუშაობს.

- საცდელი გაშვებაა, თუ?..

- არა. საცდელი გაშვება რემონტის შემდეგ მოახდინეს და ახლა უკვე ჩვეულებრივ მუშაობს.

- დასავლეთში დიდი ყურადღება ეთმობა არატრადიციულ ენერგოწყაროების გამოყენებას.

- ჩვენთანაც ამ მხრივ სოციალური პოზისა მიიქმა-ყურადღება უნდა მიექცეს ენერგოდამზოგი საშუალებების შექმნას. მიუღებელია, როცა ოჯახში 10-12 კვტ.სთ სიმძლავრის ელექტროგამაცხელებელი დგას, ამას ვერანაირი ენერგოსისტემა ვერ გაუძლებს.

- ხომ არ არის თქვენთვის ცნობილი, რამდენი პროცენტით გაიზარდა ელექტროენერგიის მოხმარება გასულ წლებთან შედარებით?

- ეს საკმაოდ რთული გამოსათვლელია, მაგრამ სპეციალისტები ამბობენ, რომ ელექტროენერგიის მოხმარება გაორმაგდა. ადრე გათბობაც იყო, ცხელი წყალიც და გაზიც. ახლა პრაქტიკულად არც ერთი აღარ არის და მთელი სიმძიმე ელექტროენერგიას დაწვა. ამან ისედაც ცუდ მდგომარეობაში მყოფი დარგი კატასტროფულ ზღვრამდე მიიყვანა.

- როგორც განაცხადეთ, თქვენს სამსახურს ტრანსპორტის დარგთანაც აქვს შეხების წერტილი.

- ეს განსაკუთრებული დარგია, რომლის განვითარებასა და აღორძინებას უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის საქმეში. ჩვენ აუცილებლად გავხდებით ტრანზიტული ქვეყანა. ძალიან სასიხარულოა, რომ ამ მიმართულებით ტრანსპორტის სამინისტრო აქტიურად და ნაყოფიერად მუშაობს.

- ქვეყანაში ძალიან მწვავედ დგას გზების პრობლემა.

- ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული. ამჟამად მთელი პროგრამაა შემუშავებული 2005 წლამდე, რომელიც ჩვენი გზების განვითარებას შეეხება. წინააღმდეგ შემთხვევაში ტრანზიტებზე საუბარი სასაცილო იქნება.

- ესეც ხომ საკმაოდ დიდ თანხებს მოითხოვს.

- რა თქმა უნდა. ფინანსირების გარკვეული წყაროები უკვე ნაპოვნია. ეს მუშაობა გაგრძელდება და თანდათანობით ძალას მოიკრებს.

ერთი სიტყვით, ყველა დარგი, რომელსაც ჩვენი განყოფილება ყურადღებას აქცევს, ერთდროულ და პარალელურ განვითარებას მოითხოვს.

- ამას თავისი პროგრამა და ფინანსირება სჭირდება.

- პროგრამები ფაქტიურად შემუშავებულია. მშენებლობაში უკვე გვაქვს განვითარების კონცეფცია. რომელიც უდიდეს პროგრესს მიგვაღწევინებს ამ მიმართულებით. მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტრო სერიოზულად ემზადება. შეიმუშავეს გარკვეული პროგრამები.

ყურადღება მინდა მიაქციოთ. არანაირ პროგრამას განხორციელება არ უწერია, თუ ადამიანების მენტალიტეტი არ შეიცვლა. ყველა მთავრობას უყურებს ხელებში. იმის ცდაში არიან, რა ისარგებლონ. კიდევ სჯერათ, რომ ხელისუფლება "ბოწყლების კალთას" გადააფარებს ზოგიერთს და მათ თავის შეწუხება არ მოუწევთ. დროა გაიგონ, რომ ეს უტოპიაა. თითოეული ქართველი უნდა ეცადოს არა მარტო იმაზე იფიქროს, პირადად როგორ გაუმჯობესოს მდგომარეობა, არამედ იმაზეც, ქვეყანას რა ასარგებლოს.

სხვაგვარად ქვეყანას აღმშენებლობა არ უწერია.

ესაუბრა

გიგა გორდელაძე

პრივატიზების მაცნე №37

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში

დამტკიცდა №1 სპეციალიზებული აუქციონის შედეგები

სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი აქციათა პაკეტების მართვის უფლებით გადაცემის კომისიის მიერ წარმოდგენილი №1 სპეციალიზებული აუქციონის შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ავთანდილ სილაგაძის 1996 წლის 13 ნოემბრის ბრძანებით (№ 1-3/798) დამტკიცდა № 1 სპეციალიზებული აუქციონის შედეგები კომისიის შემაჯამებელი ოქმის შესაბამისად; დაუმტკიცდათ საკუთრების უფლება შესყიდულ აქციებზე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს № 1 სპეციალიზებული აუქციონის შედეგების შესაბამისად.

საორგანიზაციო-საინფორმაციო სამმართველოს (მ. გაბუნია) დაევალა № 1 სპეციალიზებული აუქციონის შედეგების გამოქვეყნება გაზეთ "მესაკუთრეში" და სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების ინფორმირება აღნიშნული აუქციონის შედეგების შესახებ.

ფასიანი ქაღალდებისა და საინვესტიციო ფონდების სამმართველოს (ვ. ჩხაიძე) დაევალა სააქციო საზოგადოებების აქციათა განლაგებაში № 1 სპეციალიზებული აუქციონის შედეგების შესაბამისად ცვლილებების შეტანა და ს/ს ხელმძღვანელებისათვის წერილების მომზადება ამ ბრძანების დანართში მითითებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, კუთვნილი აქციების გაცემისა და რეესტრში შესაბამისი ასახვის მიზნით, ფინანსების აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიღების შემდეგ.

კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალა მინისტრის პირველ მოადგილეს ბ-ნ ე. ჯუღელს.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

ბრძანება № 1-3/429

თბილისი 1996 წლის 5 აგვისტო

სააქციო საზოგადოებების სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქციების (აქციათა პაკეტების) გაყიდვისა და საკუთრებაში დადასტურების მოქმედი წესის დამტკიცების შესახებ

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების (აქციათა პაკეტების) გაყიდვისა და მათი საკუთრებაში დადასტურების პროცესის მოწესრიგებისა და სრულყოფის მიზნით

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სააქციო საზოგადოებების აქციათა გაყიდვისას, აქციათა მფლობელობაზე საკუთრების უფლების დადასტურების წესი (დანართი №1. იხილეთ მე-5 გვერდზე).

2. იურიდიული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველომ (ბ-ნი გ. ნიშნიანიძე) ორი კვირის ვადაში უზრუნველყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის რეგისტრაცია იუსტიციის სამინისტროში.

3. საორგანიზაციო-საინფორმაციო სამმართველომ (ბ-ნი მ. გაბუნია) იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის შემდეგ უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნება პრესაში.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს, ბ-ნ ემირ ჯუღელს.

მინისტრი ა. სილაგაძე

კომერციული კონკურსი

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო აცხადებს კომერციულ კონკურსს

რკინიგზის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხულ 40 (ორმოცი) დახურული მსუბუქი ავტომობილის მზიდი ვაგონ-ბაქნების გაყიდვის შესახებ.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წილი შეადგენს 25 პროცენტზე ნაკლებს, აგრეთვე ობიექტის მუშაკებს, რომლებიც ამ მიზნით ქმნიან ამხანაგობას.

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:

- 40 (ორმოცი) ვაგონ-ბაქნის საწყისი გასაყიდი ფასია 472279 (ოთხას სამოცდათორმეტი ათას ორას სამოცდაცხრამეტი) აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში. ანგარიშსწორების ფორმა ნაღდი ან უნაღდო.

საკონკურსო პირობები:

1. ვაგონ-ბაქნების შეძენა მოხდეს ერთი იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ.

2. მყიდველი გადაიხდის საწყის გასაყიდ ფასზე მეტს.

3. მყიდველი შეძენიდან ორი წლის განმავლობაში არ გაასხვისებს აღნიშნულ ვაგონებს და უზრუნველყოფს მათ სარკინიგზო ტვირთბრუნვაში ჩართვას.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო კომისიაში უნდა წარმოადგინონ:

1. წინადადებები კომისიის მიერ წამოყენებულ კონკურსის პირობებზე (განაცხადი).

2. იურიდიულმა პირმა სადამფუძნებლო დოკუმენტები, ფიზიკურმა პირმა - პასპორტი

- (ბე) ობიექტის გასაყიდი ფასის 10 პროცენტის გადახდის ქვითარი

- მოსაკრებლის (იურიდიული პირისათვის - 50 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში, ფიზიკური პირისათვის 10 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში) გადახდის ქვითარი. კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე განაცხადის შეტანა წყდება კომისიის სხდომის დაწყებამდე სამი სამუშაო დღით ადრე.

კომისიის სხდომა გაიმართება საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში 1 თვის შემდეგ ამ განაცხადის გამოქვეყნებიდან. სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, სადაც მოხდება ცალკეული განაცხადების (კონვერტების) გახსნა და მათი საკონკურსო განხილვა, მყიდველს ეცნობება განაცხადების წარმოდგენისას.

კომისია კონკურსში გამარჯვებულად აცხადებს მონაწილეს, რომლის წინადადებები აკმაყოფილებენ კონკურსის პირობებს და რომელიც გადაიხდის ობიექტის გასაყიდ ფასზე მეტს და მყიდველთა შორის მაქსიმალურ თანხას.

განცხადებების მიღება წარმოებს ყოველდღე (დასვენების დღეების გარდა) 10-დან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №64, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ოთახი №326.

მყიდველს აქვე შეუძლია გაეცნოს დაწვრილებით ინფორმაციას საპრივატიზებო ობიექტის შესახებ.

ცნობებისათვის დარეკეთ: ტელ: 29-35-97.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

სააქციო საზოგადოება "რუსთავის ლუდი" აცხადებს კონკურსს

ალაოს საამქროს იჯარა-გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს; საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების, რელიგიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25 პროცენტზე ნაკლებს.

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ

"შეიჯარე" სააქციო საზოგადოება "რუსთავის ლუდი".

ობიექტი - სააქციო საზოგადოება "რუსთავის ლუდის" ალაოს საამქრო;

მისამართი: რუსთავი, მშვიდობის ქუჩა №6.

მიწის ნაკვეთი - 2,5 ჰექტარი

იჯარით გადასაცემი ქონების ფასი - 527439 აშშ დოლარის ექვივალენტი საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარებში.

საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა - 52744 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

საკონკურსო პირობები:

1) 1997 წლის 31 დეკემბრამდე გამოსასყიდი ღირებულების არანაკლებ 10%-ის დაფარვა, ხოლო დანარჩენის, შემდგომი ხუთი წლის განმავლობაში ყოველწლიურად თანაბარი პროროპციით.

2) ალაოს საამქროს:

ა)რეკონსტრუქცია არანაკლებ 60 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტური ინვესტიცია ეროვნულ ვალუტაში.

ბ) ბალანსზე რიცხული რკინიგზის ჩიხის კაპიტალური რემონტი და მასში სარკინიგზო სასწორის დამონტაჟება, არანაკლებ 30000 აშშ დოლარის ექვივალენტი ინვესტიციები ეროვნულ ვალუტაში 1997 წლის 1 აპრილამდე.

გ) ვაგონებიდან ქერის მიმღების რეკონსტრუქცია; ელევატორის კაპიტალური რემონტი;

3) ალაოს საამქროს პროფილის შენარჩუნება არანაკლებ 5 წლის განმავლობაში.

4) ლუდის წარმოების უპირატესი დაკმაყოფილება ალაოთი.

5) ს/ს "რუსთავის ლუდის" მიერ მიღებული ალაოს შენახვა, სათანადო ანაზღაურებით ხელშეკრულების საფუძველზე.

6) შეთანხმება შ.პ.ს. "პროგრესთან" საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 12 ივნისის №229 ბრძანებულების შესაბამისად განხორციელებული ინვესტიციების თაობაზე.

კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება მონაწილე, რომლის ბიზნეს-გეგმა ყველაზე უკეთ დააკმაყოფილებს კონკურსის პირობებს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა პირებმა განცხადებების განმხილველ კომისიას უნდა წარუდგინონ:

1) განცხადება, რომელსაც უნდა ერთვოდეს:

ა) წესდება

ბ) მომსახურება ბანკის დასახელება, ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ფიზიკურმა პირებმა, საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიას უნდა წარუდგინონ განცხადება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს:

1) ფიზიკური პირის გვარი, სახელი, მამის სახელი; საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საპასპორტო მონაცემები.

საკონკურსო განცხადება თავსდება სპეციალურ კონვერტში და იღუქება განმცხადებლის მიერ ან მისი თანდასწრებით.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილის სტატუსს იძენს საიჯარო განცხადებების განმხილველი კომისიის ზონარგაყრილ დავთარში, განცხადების რეგისტრირებისა და ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

განცხადებების მიღება მთავრდება კონკურსის ჩატარებამდე 3 დღით ადრე.

საკონკურსო კომისიის სხდომა გაიმართება სააქციო საზოგადოება "რუსთავის ლუდის" სამეთვალყურეო საბჭოს სამუშაო კაბინეტში, გამოქვეყნებიდან 30 დღის შემდეგ.

განცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე (დასვენების დღეების გარდა) 10 საათიდან 15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.რუსთავი, მშვიდობის ქუჩა №6, სააქციო საზოგადოება "რუსთავის ლუდი".

ცნობებისათვის დარეკეთ: 14-35-65.

სააქციო საზოგადოება "რუსთავის ლუდის" სამეთვალყურეო საბჭო

კონკურსი

გაზეთ "პრივატიზების მაცნეს" 1996 წ. 9-13 სექტემბრის 21-ე ნომერში გამოქვეყნებული იყო განცხადება სათბობენერგეტიკის სახელმწიფო კორპორაციის გარდაბნის რაიონში მშენებარე თხევადი გაზის სასაწყობო მეურნეობის საინვესტიციო კონკურსით გაყიდვის შესახებ.

კონკურსში გაიმარჯვა შპს "სიერამ".

გაზეთ "პრივატიზების მაცნეს" 1996 წ. 7 ოქტომბრის 25-ე ნომერში გამოქვეყნებული იყო განცხადება ქ.თბილისის №2 სართავი ფაბრიკის კომერციული კონკურსის წესით პრივატიზების შესახებ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველი არ აღმოჩნდა. ამის გამო კონკურსი არ შედგა.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საკონკურსო კომისია

დანართი №1

სააქციო საზოგადოებების სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქციების (აქციათა პაკეტების) გაყიდვისას აქციათა მფლობელობაზე საკუთრების უფლების დადასტურების წესი

1. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულების შესაბამისად, აქციათა პაკეტის პირდაპირი წესით შესყიდვისას, საფასურის გადახდა უფლებამოსილი მყიდველის (მყიდველთა ჯგუფის) მიერ ხდება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის შესაბამისი დადგენილების (ბრძანების) მიხედვით და ვადებში.

1.1. როცა უფლებამოსილ მყიდველად ფიქსირდება მყიდველთა ჯგუფი, სამინისტრო ჯგუფს განიხილავს ერთ სუბიექტად. უფლებამოსილი მყიდველთა ჯგუფის წევრებს შორის აქციების განაწილებისა და მათ მიერ საფასურის გადახდის საკითხს არეგულირებს უშუალოდ მყიდველთა ჯგუფი, ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

1.2. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის № 178 ბრძანებულებისა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინიტროს კოლეგიის შესაბამისი დადგენილებების (ბრძანების) მიხედვით აქციათა პაკეტების საფასურის მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის შემდეგ უფლებამოსილი მყიდველი (მყიდველთა ჯგუფი) ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წარუდგენს წერილობით ინფორმაციას და სათანადო საბუთების ასლებს საფასურის გადახდის შესახებ.

1.3. ფინანსების, აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველო არსებულ მონაცემებთან შედარების საფუძველზე ამოწმებს აქციათა პაკეტის საფასურის მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის სისწორეს და შესაბამის დარგობრივ სამმართველოს აწვდის წერილობით ინფორმაციას აქციათა პაკეტის საფასურის გადახდის ოდენობისა და ვადების ჩვენებით.

1.4. დარგობრივი სამმართველო მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ამზადებს მინისტრის ბრძანების პროექტს უფლებამოსილი მყიდველისათვის (მყიდველთა ჯგუფისათვის) გამოსყიდულ აქციებზე საკუთრების უფლების დადასტურების შესახებ.

1.5. მინისტრის ბრძანების საფუძველზე, ფასიანი ქაღალდებისა და საინვესტიციო ფონდების სამმართველო სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორის სახელზე ამზადებს წერილს უფლებამოსილი მყიდველისათვის (მყიდველთა ჯგუფისათვის) აქციების გადაცემის შესახებ.

1.6. ამ წესის 1.5. პუნქტში აღნიშნული ბრძანებით და წერილით, სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის № 178 ბრძანებულების შესაბამისად განსაზღვრულ უფლებამოსილ მყიდველს (მყიდველთა ჯგუფს), უდასტურდება საკუთრების უფლება ბრძანებით განსაზღვრულ გამოსყიდულ აქციათა ოდენობაზე.

2. შრომითი კოლექტივის წევრებისათვის, პრივატიზების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული შეღავათიანი (უფასო და 20%-ით ფასდაკლებით) აქციების გაცემის უფლება ს/საზოგადოების გენერალურ დირექტორს ეძლევა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს შესაბამისი წერილით, რომელსაც თან ერთვის სამინისტროში წინასწარ წარმოდგენილი სიის ერთი ეგზემპლარი.

2.1. 20%-ით ფასდაკლებით გაცემულ აქციებზე საკუთრების უფლების დადასტურების შესახებ წერილს ამზადებს ფასიანი ქაღალდებისა და საინვესტიციო ფონდების სამმართველო სააქციო საზოგადოების სამმართველოსაგან აქციების საფასურის გადახდის შესახებ მიღებული წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე.

3. აუქციონების შედეგების შესაბამისად სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ბრძანებით მტკიცდება აუქციონის შედეგად აქციების მიმღებ პირთა სია.

3.1. აუქციონის შედეგი თითოეული სააქციო საზოგადოების მიხედვით და აუქციონში მონაწილე თითოეულ პირზე საკუთრებაში გასაცემი აქციების ოდენობის მითითებით, თანდართულ წერილთან ერთად ეგზავნება სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობას.

4. აქციების (აქციათა პაკეტის) კონკურსის წესით გაყიდვისას საკუთრების უფლების დადასტურება ხდება "სახელმწიფო ქონების კონკურსის წესით გაყიდვის შესახებ" დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

5. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების (აქციათა პაკეტის) ზემოთაღნიშნული ნებისმიერი წესით გაყიდვა, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დასტურის საფუძველზე, აუცილებლად აისახება აქციების მფლობელთა რეგისტრაციის სპეციალურ ჟურნალში (აქციონერთა რეესტრში), რომელსაც აწარმოებს თითოეული სააქციო საზოგადოება ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ.

6. აქციონერთა უფლება-მოვალეობანი განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით და სააქციო საზოგადოების წესდებით. სახელმწიფო საწარმოების (გაერთიანებების) გარდაქმნის გზით შექმნილი სააქციო საზოგადოებების აქციების (აქციათა პაკეტების) გაყიდვისას სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ხელმძღვანელობს კანონმდებლობით, პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამით, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებით, დამტკიცებული დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

"პრივატიზაციის შესახებ" კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმების პროცედურა შეიცავს მყიდველის განაცხადს (სპეციალიზირებული სპარატო აუქციონების დროს ფორმდება განაცხადი-ხელშეკრულება დადგენილი ფორმით) შესაბამისი ვალდებულებებით და გადაწყვეტილებას აქციების გაყიდვის (უფასოდ გაცემის) შესახებ, რომელიც ფორმდება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით, შესაბამისი ბრძანებით და წერილით.

პროცედურა დამთავრებულად ითვლება აქციების საფასურის გადახდის მომენტიდან, რაც დასტურდება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ კოლეგიის დადგენილებით, შესაბამისი ბრძანებით და წერილით, ხოლო აქციათა მყიდველის მიერ სააქციო საზოგადოების აქციონერთა რეესტრში ხელმოწერით.

აღნიშნული პროცედურით დასტურდება, რომ კანონიერმა მესაკუთრემ მიიღო კუთვნილი აქციები და გამყიდველსა და მყიდველს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

ბრძანება № 1-3/811

ქ. თბილისი 18 ნოემბერი 1996 წ.

№5 სპეციალიზებული აუქციონის ნუსხის დამტკიცების შესახებ

მასობრივი პრივატიზაციის პროცესების გეგმაზომიერი განვითარების, სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი აქციების შემდგომი რეალიზაციის მიზნით

ვბრძანებ:

1. მოქმედი წესით დამტკიცდეს იმ სააქციო საზოგადოებათა თანდართული ჩამონათვალი, რომელთა აქციების (აქციათა პაკეტების) პრივატიზება გათვალისწინებულია № 5 სპეციალიზებულ აუქციონზე (დანართი №1);

1.1. აუქციონზე გადახდის საშუალებად მიიღება ეროვნული ვალუტა (ლარი) და გადახდილი თანხა უნდა იყოს 21 აშშ დოლარის ან მისი ჯერადის ექვივალენტური ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

2. აუქციონზე გასაყიდი აქციათა განლაგების და სააქციო საზოგადოებების ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დამტკიცებული, ამომწურავი ინფორმაცია მყიდველებმა შეუძლიათ მიიღონ უშუალოდ სააქციო საზოგადოებაში, ნუსხაში მითითებულ მისამართზე.

2.1. სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორი ვალდებულია შეუფერხებლად უზრუნველყოს მყიდველებისათვის აუცილებელი ინფორმაციის გაცნობა და მას ეკისრება პასუხისმგებლობა ამ ინფორმაციის სისწორეზე.

3. დაევალოს 1996 წლის № 1-3/430 ბრძანებით სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი აქციების (აქციათა პაკეტების) მართვის უფლებით გადაცემის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ კომისიას (თავმჯდომარე ბ-ნი ე. ჯუღელი) უზრუნველყოს აუქციონების დადგენილ, ამ ბრძანებაზე თანდართულ ნუსხაში მითითებულ ვადაში ჩატარება არსებული წესების შესაბამისად.

4. სპეციალიზებულ აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება განხორციელდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში და შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში სააქციო საზოგადოების ადგილმდებარეობის მიხედვით.

4.1. დაევალოს ფასიანი ქაღალდებისა და საინვესტიციო ფონდების სამმართველოს (ბ-ნი ვ. ჩხაიძე) და სახელმწიფო ქონების მართვის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს შემოსული განაცხადების აღრიცხვა აწარმოონ ამ მიზნით გახსნილ, სპეციალურ, ფურცლებდანომრილ, ზონარგაყრილ და ბეჭდით დამოწმებულ ჟურნალში.

4.2. სახელმწიფო ქონების მართვის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელები, განაცხადების მიღების დამთავრების შემდეგ არაუგვიანეს ხუთი კალენდარული დღის ვადაში, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში წარმოადგენენ ტერიტორიული ორგანოს ბეჭდით დამოწმებულ ინფორმაციას ადგილზე მიღებული განაცხადების და გადახდილი თანხების შესახებ დადგენილი ფორმით.

ინფორმაციის წარდგენა სამინისტროში აუცილებელია იმ შემთხვევაშიც, თუ ადგილზე განაცხადები არ იყო შეტანილი.

დადგენილი ვადის დაგვიანებით წარმოდგენილი ინფორმაცია არ განიხილება, აუქციონის შედეგების განგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება და პასუხისმგებლობა განმცხადებლის წინაშე დაეკისრება სახელმწიფო ქონების მართვის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელს.

5. დაევალოს საორგანიზაციო-საინფორმაციო სამმართველოს (ბ-ნი მ. გაბუნია):

5.1. 1996 წლის 20 ნოემბრამდე უზრუნველყოს ამ დადგენილებაზე თანდართული ნუსხის შესახებ ინფორმაციის გაზეთ "შესაკუთრე"-ში გამოქვეყნება;

5.2. სახელმწიფო ქონების მართვის ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით უზრუნველყოს მათ ტერიტორიაზე არსებული სააქციო საზოგადოებების აუქციონის შესახებ ინფორმირება.

6. აქციების (აქციათა პაკეტების) შესაძენად საჭირო თანხების გადახდა განხორციელდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიმდინარე ანგარიშზე № 001141776 მფო 521017 სააქციო-კომერციული ბანკის "საქართველოს ბანკი" სათაო განყოფილებაში ან სახელმწიფო ქონების მართვის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების მომსახურე სბანკო დაწესებულებებში სააქციო საზოგადოების ადგილმდებარეობის მიხედვით.

7. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს, ბ-ნ ე. ჯუღელს.

მინისტრი ა. სილაგაძე

№5 სპეციალიზებული აუქციონი

დანართი №1

- განაცხადები დადგენილი წესით მიიღება 1996 წლის 2 დეკემბრიდან 24 დეკემბრის 17 საათამდე ქ. თბილისში ჭავჭავაძის გამზ. №64, ოთახი №219 (სახ. ქონების მართვის სამინისტროს შენობაში) ან სახელმწიფო ქონების მართვის ტერიტორიულ ორგანოში სააქციო საზოგადოების ადგილმდებარეობის მიხედვით
- 1 აქციის ნომინალური ღირებულება = 1,46 აშშ დოლარის ექვივ-ს, ხოლო საწყისი გასაყიდი ფასი აუქციონზე = 2,1 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში (ლარებში) გარდა მუქი ფერით გამოყოფილი ს/საზოგადოებების აქციებისა, რომელთა 1 აქცია = 1 აშშ დოლარის ექვივალენტს, ხოლო საწყისი გასაყიდი ფასი აუქციონზე = 1,5 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.
- შესაბამისად, აუქციონის შედეგად, გადახდილი ყოველი 21 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხის სანაცვლოდ, შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 10 ცალი 1,46 აშშ დოლარის ან 14 ცალი 1 აშშ დოლარის ექვივალენტური ნომინალური ღირებულების აქცია

№	სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე)	გამოშვებული აქციების რაოდენობა	აუქციონზე გასაყ.აქციების რაოდ.	% საწესდებო კაპიტალი	ნომინალური ღირებულება აშშ დოლ.	საწყისი გასაყიდი ფასი აშშ დოლ.	აქციათა გამოშვების კოდი	სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი	გენერალური დირექტორი	დაკავებ. მიწის ფართ.ჰა
1	42. "იმედი" (შშენებლ.სამინ.№1 ასს)	70771	22065	31.18	32258.7719	46336.5	237-042	ვაშლიჯვარი,სარაჯიშვილის 21	მ.ახალკაციშვილი	4.2
2	43. "საქმშენელექტრო"(ვაჭრ.სამინ-რო)	471923	483	0.102	706.140351	1014.3	238-043	იუმაშევის 18	ა.მენთეშაშვილი	10.7
3	44. "კასპიელექტროაპარატი"	243690	113709	46.66	166241.228	238788.9	280-044	კასპი, სტალინის 4	უ.ფოსიაშვილი	11
4	46. "თბილმელანჟე"(მელანჟის ქ-ნა)	104842	29267	27.92	42788.0117	61460.7	238-046	ლილო, ჭირნახულის 4,ტ.:410035	შ.ქუტიძე 228265	3.7
5	47. "ელექტროიზოლიტი"(თბ.ელ.საიზ.მას.ქ)	278840	95509	34.25	139633.041	200568.9	236-047	ქსნის 35,ტ.615593	თ.ტყავაძე	3.1
6	64. "მერკური-92"(მაცივრები)	394400	8872	2.249	12970.7602	18631.2	231-064	თევ.მღვდლის 27,ტ.340959	თ.ზამთარაძე	2.5
7	65. "აგარის საკონსერვო ქ-ნა"	552800	552350	99.92	807529.24	1159935	470-065	ქარელის რ-ნი, დაბა აგარა		
8	99. "ნინო"(თბ.სამკერ.ფ-კა "ნინო")	172553	2017	1.169	2948.83041	4235.7	239-099	ნინოშვილის 8,ტ.952464	ი.მაჭავარიანი	0.3
9	328. "ეგრისი"(სენაკის ხალიჩ.კ-ტი)	395431	355876	90	520286.55	747339.6	430-328	სენაკი, მშვიდობის 168,ტ.21705	კ.რუსია	2.05
10	350. "საქელექტრომანქანა"(საწ.გაერთ.)	710730	337170	47.44	492938.596	708057	233-250	ქ.ჩოლოყაშვილის III,მე-4 შეს.	გ.ბუგიანნიშვილი	3.3
11	431. "ფოთინავთობპროდუქტი"(ფოთის კ.შ.ს)	147293	16993	11.54	24843.5673	35685.3	460-431	ფოთი, კოკაიას ხეივანი,ტ.54802	ნ.ხუნწარია	3.86
12	434. "ლილო"(ლილოს საშ.მას.კ-ტი)	395056	179742	45.5	262780.702	377458.2	238-434	ლილოს დას.ჭირნახულის შეს.7	თ.ჩიკვაიძე	5
13	518. "ანდეზიტი"("სამთ.ქიმ."ბაკურიან.ანდეზ.წ.)	440122	44588	10.13	65187.1345	93634.8	130-518	ბორჯომი,ანდეზიტის დას.	მ.ლომაძე	
14	520. "ჩაის ფ-კა №1"(ზუგდიდი)	115973	5915	5.1	8647.66082	12421.5	220-520	ზუგდიდი,აღმაშენებლის 87,ტ.25436	გ.გოგოხია	
15	532. "ფოთის მაცივარ-კომბინატი"(მაცივარი)	218317	19092	8.745	27912.2807	40093.2	460-532	ფოთი,ფალიაშვილის 4,ტ.55917	შ.ხოშტარია	1.2
16	587. "ტრანსკავბსერვისი" "ალაგერდი"(რკ.გზშს.)	205296	82618	40.24	120786.55	173497.8	231-587	თამარ მეფის 14,ტ.231538,345382	ვ.სიანურიძე	
17	589. "ბაზალეთის ტბა"(სახ.ტურიზმი)	109732	30920	28.18	45204.6784	64932	190-589	დუშეთი, სოფ.ბაზალეთი	ო.ზაქაიძე	8
18	609. "მარაბდა-1994"(მარაბ.მებოცურ.სახ.მ-ობა)	227658	154270	67.76	225540.936	323967	240-609	თეთრიწყაროს რ-ნი,სოფ.მარაბდა	მ.გამრეკლიშვილი	4416
19	621. "ოკამი"(ოკამის ღვინის ქ-ნა)	285521	92793	32.5	135662.281	194865.3	280-621	კასპი,სოფ.ოკამი		
20	678. "დალკი"(ს/ს"გეზი"კულტ.ს-ს აღ.-რესტ.ს.)	37899	3686	9.726	3686	5529	235-678	რუსთაველის 19	ა.გუჯაბიძე	1.06
21	728. "ბოლნისის ეფსპრესი"(ბოლნ.ავ.სატ.საწ.)	51782	15522	29.98	22692.9825	32596.2	120-728	ბოლნისი,სულხან-საბას 134,ტ.22325,22141	რ.ფუტკარაძე	0.8
22	736. "ანდა"("საქნერგ."ტრ."საქსოფელექტ.მშ".)	986046	424757	43.08	62.0989766	891989.7	239-736	ნ.ჩხეიძის 38	რ.მექვაბიშვილი	
23	981. "ბელელი"(ხობის პურის მიმდ.საწ.)	300074	294824	98.25	294824	442236	610-981	ხობი,26მაისის 6	ნ.ბუკია	5
24	994. "სენაკის პურპროდუქტები"	329140	314965	95.69	314965	472447.5	430-994	სენაკი,ხორავას 22	ნ.ქუჩულორია	
25	1024. "ოზურგეთის პურპროდუქტების კ-ტი"	586000	566470	96.67	566470	849705	370-1024	ოზურგეთის რ-ნი, სოფ.ოზურგეთი	ლ.ხავთასი	3.5
	სულ:	783889	3764473		495849.71	7197426.3				

აუქციონის შედეგების შეჯამებისას ყოველ ცალკეულად გადახდილი თანხიდან გადახდილად ჩაითვლება 21 აშშ დოლარის ან მისი ჯერადის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით, ხოლო ნაშთი თანხები გაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება.

10 დღეში ამოღებულია 4862 ათასი ტონა ნავთობი

(დასასრული)

ამ პერიოდში გამოშვებულ იქნა 1,4 მლნ ლარის ღირებულების სამრეწველო პროდუქცია, რაც ოქტომბრის მე-3 დეკადის დაზუსტებულ მაჩვენებელს 120 ათასი ლარით აღემატება. ნოემბრის პირველ 10 დღეში წინა დეკადასთან შედარებით 140 ათასი ლარით მეტი პროდუქცია აწარმოეს სისტემის ქიმიური კომპლექსის, ხოლო 20 ათასი ლარით მეტი - მანქანათმშენებლობის კომპლექსის საწარმოებმა, მთლიანად კი ამ კომპლექსებში საანგარიშო პერიოდში წარმოებულ იქნა შესაბამისად 940 ათასი ლარისა და 370 ათასი ლარის ღირებულების სამრეწველო პროდუქცია. სამწუხაროდ, აღნიშნულ პერიოდში შეფერხებით იმუშავეს ხის დამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებმა და შედეგად მათ მხოლოდ 90 ათასი ლარის პროდუქცია აწარმოეს, რაც 20 პროცენტით ჩამორჩება წინა დეკადის დაზუსტებულ მაჩვენებელს.

ჩამორჩენაა მსუბუქი მრეწველობის დეპარტამენტის საწარმოებზეც. კერძოდ, დეკემბრის პირველ დეკადაში, მათ მიერ წარმოებულ იქნა მხოლოდ 260 ათასი ლარის ღირებულების პროდუქცია, ანუ 41 პროცენტით ნაკლები, ვიდრე წინა დეკადაში. მნიშვნელოვანი შეფერხებაა შალის, ბამბის და სამკერვალო მრეწველობის საწარმოებში.

აღნიშნულ პერიოდში სტაბილური მდგომარეობა იყო შენარჩუნებული სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში, განსაკუთრებით კი ნავთობის მოპოვების სფეროში.

კერძოდ, ნოემბრის პირველ 10 დღეში ამოღებულ იქნა 4862 ათასი ტონა ნავთობი, რაც თითქმის წინა დეკადების მაჩვენებლის დონეზეა და მნიშვნელოვნად აჭარბებს წლის საშუალო მაჩვენებელს. ნოემბრის დასაწყისიდან განახლდა ქვანახშირის მოპოვება ტყიბულის შახტებში და მართალია რთულად, მაგრამ მდგომარეობა ამ სფეროშიც თანდათანობით უმჯობესდება. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში მოპოვებულ იქნა 1225 ტონა ქვანახშირი, რაც მნიშვნელოვნად სჭარბობს წინა პერიოდების ანალოგიურ მაჩვენებელს. ამასთან, წლის დასაწყისიდან მოპოვებული 18,5 ათასი ტონა ქვანახშირიდან უკვე რეალიზებულია 15,5 ათასი ტონა და მიღებულია 636 ათასი ლარის შემოსავალი, რამაც გარკვეულწილად გაუმჯობესა დარგის ფინანსური მდგომარეობაც.

ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში სამეურნეო ფინანსური საქმიანობის მიმდინარეობის თაობაზე ოპერატიული ინფორმაციები 13 ნოემბრისათვის მიღებულ იქნა იმერეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, აგრეთვე გურიის მხარეებიდან და სენაკის რაიონიდან. მიღებული ინფორმაციების თანახმად, საანგარიშო 10 დღეში იმერეთის მხარეში წარმოებულია თითქმის 5 მლნ ლარის ღირებულების სამრეწველო პროდუქცია, რაც მნიშვნელოვნად აღემატება როგორც წინა დეკადების, ისე წლის განვლილი პერიოდის საშუალო დეკადურ მაჩვენებლებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ჭიათურა-ზესტაფონის ტერიტორიული კომპლექსი და ტყიბულის შახტების საქმიანობის გაუმჯობესება, იმერეთის ზონაში სახეზეა ეკონომიკის სხვა დარგების - ტრანსპორტის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის რიგი დარგების გააქტიურებაც. ყოველივე ამის შედეგად კი საგადასახადო შემოსავლებმა ბიუჯეტში ნოემბრის პირველ დეკადაში 550 ათას ლარამდე შეადგინა, მათგან კი 391 ათასი ლარი ქ. ქუთაისის წარმოება-დაწესებულებებზე მოდის.

შიდა ქართლის სამრეწველო კომპლექსში ნოემბრის პირველ დეკადაში წარმოებულ იქნა 1,3 მლნ ლარის ღირებულების პროდუქცია, რაც უმნიშვნელოდ (35 ათასი ლარით), მაგრამ მაინც აღემატება წლის განვლილი 10 თვის საშუალო დეკადურ მაჩვენებელს. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა გორის რაიონში, სადაც საანგარიშო პერიოდში წარმოებულ იქნა 900 ათასი ლარის სამრეწველო პროდუქცია, ანუ 62 პროცენტით მეტი, ვიდრე საშუალოდ წლის განმავლობაში.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში საანგარიშო პერიოდში წარმოებულ იქნა თითქმის 50 ათასი ლარის ღირებულების სამრეწველო პროდუქცია, რაც 27,4 პროცენტით აღემატება წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

სამწუხაროდ, ნოემბრის პირველ ათ დღეში, წინა პერიოდებთან შედარებთ შემცირებულია სამრეწველო წარმოების მოცულობები გურიისა და სამცხე-ჯავახეთის მხარეებში და სენაკის რაიონში. კერძოდ, განვლილი 9 თვის საშუალო დეკადურ მაჩვენებელთან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა გურიის მხარეში შემცირებულია 19 პროცენტით, სამცხე-ჯავახეთის მხარეში - 35 პროცენტით, ხოლო სენაკის რაიონში - 7,4 პროცენტით.

საქართველოს ენერგოსისტემა აზერბაიჯანის ენერგოსისტემასთან პარალელურად მუშაობს. ელექტრული დენის სიხშირე 49,4-50 ჰერცის ფარგლებშია. რუსეთთან დამაკავშირებელი 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზი "კავკასიონი" ჯერჯერობით არ არის ჩართული რუსეთის მხრიდან. მდგომარეობა გაურკვეველია. თბილსრესში მზადყოფნაშია სამი ენერგობლოკი, აქედან მუშაობს ორი №3 და №9 ენერგობლოკები, ჯამური დატვირთვით 260-300 მეგ. №8 ენერგობლოკი მარქაფშია.

გაზის ყოველდღიური მოწოდება

10 დღეში ამოღებულია 4862 ათასი ტონა ნავთობი

შეადგენს 2 მლნ კუბურ მეტრს. სულ თვის დასაწყისიდან მაზუთის ხარჯმა შეადგინა 3,9 ათასი ტონა, ხოლო გაზის ხარჯმა - 11,5 მლნ კუბური მეტრი. მაზუთის ნაშთი 88,3 ათას ტონას შეადგენს.

ენერგოსისტემაში გამომუშავების გაზრდის მიუხედავად, რაც ბოლო კვირის განმავლობაში საშუალოდ დღე-ღამეში შეადგინა 21,4 მლნ კუტსთ, მდგომარეობა ზამთრის სიცივეების დადგომასთან შესაბამისად რთულდება ელექტროენერგიის მოხმარების ზრდის გამო. ელექტროენერგიის მოხმარებამ საშუალოდ დღეღამეში 21,6 მლნ კუტსთ-ი შეადგინა, ხოლო 13 და 14 ნოემბერს მისმა მნიშვნელობამ 23 მილიონ კუტსთ-ს გადააჭარბა, რაც დადგენილ ლიმიტს 3 მილიონ კუტსთ-ით აღემატება. ფაქტურად ბაზისური სიმძლავრეების არსებობის (თბილსრესში ორი ენერგობლოკი, სეზონურ ელექტროსადგურებში შემოდგომის წყალუხვობის გაგრძელების შედეგად 5 მლნ კუტსთ გამომუშავების შესაძლებლობა) და მარეგულირებელი ელექტროსადგურების გრაფიკის შესაბამისად მუშაობის დაწყების მიუხედავად ირღვევა მომხმარებელთათვის ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკები, რაც აიხსნება რიგი რაიონების და ქალაქების მიერ დამტკიცებული ლიმიტების დაუცველობით.

ლიმიტის დიდი გადაჭარჯვა დაუშვეს აჭარამ, რომელმაც ლიმიტს გადააჭარბა 57%-ით, ზუგდიდის რეგიონმა - 60%-ით, გურიამ - 99%. მაშინ, როდესაც ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონებიდან ელექტროენერგიის გადასახადის მინიმალური თანხებიც კი არ შემოდის თვიდან თვემდე. ლიმიტის გადამხარჯველია ქუთაისი, სამტრედია, წყალტუბო, ხონი. მაგრამ განსაკუთრებით უნდა გამოიყოს თბილისი, რომლის დღეღამური მოხმარება - 7 მლნ კუტსთ-ზე მეტია, რაც ფაქტიურად თბილსრესის ორივე ენერგობლოკის გამომუშავების ტოლფასია. დედაქალაქის მოხმარება საღამოს საათებში 500 მეტ-ს აღემატება, შემოსული თანხა კი - 25-30 პროცენტიც კი არ არის. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ყველა გადამხარჯველი რეგიონების რწმუნებულებს დაეგზავნათ გაფრთხილების წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ თუ მხარეში შემავალი რაიონების გამგებლები არ დაიცავენ მკაცრად მათთვის გამოყოფილი ელექტროენერგიისა და სიმძლავრის ლიმიტებს, როგორც ეს გათვალისწინებულია რესპუბლიკის პრეზიდენტის № 363 30.05.96 წლის ბრძანებულების მე-8 პუნქტის მოთხოვნით, რომ არ ჩაერიონ ელექტროენერგეტიკის ოპერატიულ მართვაში და რეჟიმების რეგულირებაში, ამ რაიონებს შეუწყდებათ ენერგიის მიწოდება და მათი პირადი პასუხისმგებლობის საკითხი განიხილება სახელმწიფო მინისტრის ყოველკვირეულ საგანგებო სხდომაზე.

რაც შეეხება რემონტებს, თბილისის სრესში № 4 ენერგობლოკის რემონტი მიმდინარეობს შეფერხებებით თანხების უქონლობის გამო - საჭიროა 2750 ათასი ლარი, ამ მიზეზით არ მიმდინარეობს რემონტები ენგურჰესში - №3 ჰიდროაგრეგატზე საჭიროა 2,1 მლნ აშშ დოლარი, ლაჯანურჰესში - №2 ჰიდროაგრეგატზე - საჭირო საორიენტაციო თანხა შეადგენს 900 ათას აშშ დოლარს, გუმათჰესში - №3 ჰიდროაგრეგატზე საჭიროა 60 ათასი ლარი, ვარდნილჰესში - №3 საორიენტაციო თანხა - 80 ათასი ლარი.

თბილისის თბოქსელში მზადყოფნაშია ერთი ტურბო აგრეგატი, მაგრამ საწვავის უქონლობის გამო მისი გაშვება არ მომხდარა. ამჟამად მიმდინარეობს ტურბინა №2-ის [illegible].

მიმდინარეობს რემონტები ჰიდროაგრეგატებზე: გუმათჰესში - №1,5,6; ვარციხეჰესში - №3,6; შაორჰესში - №3,4; ტყიბულჰესში - №1,3; ხრამჰესში I - №1; ჟინვალჰესში - №1; ენგურჰესში - №4; ხრამჰეს-2-ში - №1; ორთაჭალჰესში - №3.

რაც შეეხება წყალსაცავებში წყლის მარაგს 13 ნოემბრის მდგომარეობით მან შეადგინა 910 მლნ კვტსთ კასკადურობის გათვალისწინებით, რაც შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მეტია - 342 მლნ კვტსთ ელექტროენერგიის მოხმარების გაზრდასთან ერთად ნოემბრის დასაწყისიდან დაწყებულია წყალსაცავების წყლის დონის დამუშავება. ჯერჯერობით წყალსაცავების წყლის დონე მუშავდება დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად.

სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს შეფასებით ჩამორჩენილია საშემოდგომო თავთავიანი კულტურების ხვნა-თესვის სამუშაოები. ოპერატიული მონაცემებით 11 ნოემბრისათვის პროგნოზით გათვალისწინებული 185 ათასი ჰექტარიდან დათესილია მხოლოდ 95 ათასი ჰექტარი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მართლაც, დათესილია 24 ათასი ჰექტარით მეტი, მაგრამ საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვის [illegible] უკვე ამოიწურა, თუმცა მიმდინარე [illegible] ამინდები საშუალებას იძლევა გაგრძელოთ ეს სამუშაოები 20-25 ნოემბრამდე.

სამინისტროს მოსაზრებით, საშემოდგომო ხვნა-თესვაში ჩამორჩენა გამოწვეულია იმით, რომ ბევრგან დღემდე გაურკვეველია მიწის იჯარით გაცემის საკითხი. ამასთან, დროულად არ იხდიან საწვავის მომარაგებისთვის, რითაც ოქტომბრის მეორე ნახევარში მწვავე დეფიციტი შეიქმნა დიზელის საწვავით უზრუნველყოფის საქმეში. უკანასკნელ პერიოდში სამინისტროს ძალისხმევით ამ მხრივ მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა. ქვეყანაში შემოიზიდა 800 ტონაზე მეტი დიზელის საწვავი. უახლოეს დღეებში შემოვა კიდევ 200 ტონაზე მეტი, რაც გაიგზავნება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს რაიონებში, ეს გააძლიერებს ხვნა-თესვის ტემპსა და ხელს შეუწყობს სიმინდის მოსავლის აღება-დაბინავებას.

საჭიროა ყველა ძალებისა და რეზერვების ამოქმედება. კახეთის, ქვემო და შიდა ქართლის რეგიონებში პრეზიდენტის რწმუნებულებმა, რაიონების გამგებლებმა, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოებმა, ფერმერებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ხელსაყრელი ამინდები და რაც შეიძლება მოკლე ვადაში დაამთავრონ საშემოდგომო ხვნა-თესვის სამუშაოები.

დასასრულს უახლოვდება რთველი. სამინისტროს ოპერატიული მონაცემებით 13 ნოემბრისათვის მოიკრიფა და გადამამუშავებელ მრეწველობას ჩაბარდა 59104 ტონა ყურძენი. მათ შორის კახეთის რეგიონში მოიკრიფა 53241 ტონა, ქართლში 1815 და დასავლეთ საქართველოს რაიონებში 4048 ტონა. რთველი გრძელდება ვანის, ხარაგაულის, მარტვილის, სამტრედიის და ცაგერის რაიონებში.

დაიწყო ციტრუსოვანთა ნაყოფის მოსავლის შერჩევითი კრეფა. მიმდინარე წელს პროგნოზით გათვალისწინებულია ქვეყანაში სულ მოიკრიფოს და დამზადდეს 93790 ტონა ციტრუსი, მათ შორის 92813 ტონა მანდარინი, 870 ტონა ფორთოხალი და 107 ტონა ლიმონი. 13 ნოემბრისათვის ლანჩხუთის რაიონში მოკრეფილი იყო 300 ტონამდე მანდარინი, ამჟამლის რეალიზაცია წარმოებს ერთეულ ფირმების საშუალებით.

საგადასახადო სამსახურის ოპერატიული მონაცემებით, საგადასახადო ორგანოების მიერ ნოემბრის განვლილ პერიოდში აკრეფილია 12,3 მილიონი ლარის საგადასახადო შემოსავლები, რაც ქმნის საფუძველს ნოემბრის საპროგნოზო ორიენტირის შესასრულებლად და იმისათვის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტმა მიმდინარე წლის IV კვარტალში საგადასახადო ინსპექციიდან არანაკლებ 100 მილიონი ლარი მიიღოს.

ნოემბრის შემოსავლების გათვალისწინებით წლის დასაწყისიდან ბიუჯეტში მობილიზებულია 233 მილიონი ლარი, რაც 135 მილიონი ლარით, ანუ 2,4-ჯერ აღემატება გასული წლის შესაბამის პერიოდში მიღწეულ დონეს და 102 მილიონი ლარით მეტია მთელი 1995 წლის განმავლობაში აკრეფილ შემოსავლებზე.

ნოემბრის განვლილ პერიოდში საგადასახადო ორგანოების მიერ შემოწმებულია 135 ორგანიზაცია, სადაც [illegible] ნსო დისციპლინისა და საგადასახადო კანონმდებლობის სხვადასხვა სახის დარღვევების გამო ბიუჯეტში [illegible] სარგებლად დამატებით დარიცხულმა თანხამ დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარი შეადგინა. 13 ნოემბრის მდგომარეობით ბიუჯეტში დამატებით ამოღებულია 250 [illegible] ლარი.

გასულ კვირას ჩატარებული შემოწმების შედეგად "თბილწყალკანალის" ავტოსანტრანსპორტო კანტორას საწვავის ღირებულების ზედმეტად ჩამოწერისა და კერძო პირებიდან შეძენილ სათადარიგო ნაწილებზე საშემოსავლო გადასახადის დაუკავებლობისათვის ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დაერიცხა 25,2 ათასი ლარი.

ამავე პერიოდში შპს "ელექტრონს" დამატებული ღირებულებისა და საშემოსავლო გადასახადის გადაუხდელობის გამო ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დაერიცხა 14,7 ათასი ლარი.

მატერიალურ ფასეულობათა გამოვლენილი ზედმეტობის მოგებაზარალის ანგარიშზე აუსახველობისათვის თბილისის № 3 სახლმშენებელი კომბინატის კარკასულ პანელოვან ქარხანას ბიუჯეტში დამატებით გადასახდელად დაეკისრა 11,5 ათასი ლარი.

შპს "ქართლი-94"-ს დამატებული ღირებულების გადასახადის ხელოვნურად შემცირებისა და საშემოსავლო გადასახადის არასრულად ანგარიცხვისათვის ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დაერიცხა 8,9 ათასი ლარი, ხოლო შპს "ჩირაღდანს" მოგების გადასახადის დამალვისათვის - 9 ათასი ლარი და ა.შ.

საბაჟო დეპარტამენტის ოპერატიული მონაცემებით 1-15 ნოემბერს საბაჟო ორგანოებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხა 4,1 მლნ ლარი. მათ შორის საბაჟო გადასახადი - 962.9 ათასი, დამატებული ღირებულების გადასახადი - 1,1 მლნ, აქციზი - 51.5 ათასი, ფიქსირებული გადასახადი 1,1 მლნ ათასი ლარი.

ბიუჯეტში გადარიცხული თანხის 67 პროცენტი მოდის თბილისის რეგიონულ საბაჟოზე, 10.2 პროცენტი ბათუმის, 13.5 პროცენტი - ფოთის, 3.8 პროცენტი ქუთაისის საბაჟოებზე.

კვლავ მნიშვნელოვან შედეგებს იძლევა საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილ თამბაქოს ნაწარმზე მოსაკრებლების აკრეფის ახალი ექსპერიმენტული წესი. 1-15 ნოემბრის მაკონტროლებელ ბიუჯეტში ჩარიცხული 919.7 ათასი ლარი. ანალოგიურ პერიოდში მოსალოდნელია აღნიშნული თანხის ზრდა.

ამასთან, ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზაცია კვლავ დაბალია.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით 13 ნოემბრისათვის ცენტრალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებისა და გრანტებით მიღებული პროდუქტების რეალიზაციიდან შემოსავლით მობილიზებული სახსრების საერთო მოცულობამ წლის დასაწყისიდან 207,4 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ნოემბერში - 7 მლნ ლარი.

1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული საგეგმო მაჩვენებლების შესაბამისად მიმდინარე წლის ნოემბერში ცენტრალურ ბიუჯეტში მობილიზებულ უნდა იქნეს 34,7 მილიონი ლარი. დღეისათვის, მობილიზებულია 7 მილიონი ლარი, რაც შეადგენს თვის საგეგმო მაჩვენებლის 20,1%-ს. ნოემბრის 9 სამუშაო დღის მიხედვით საშუალო დღიური შემოსავალი შეადგენს 0,8 მილიონ ლარს. ეს კი ფინანსთა სამინისტროს შეფასებით არასაკმარისი იქნება თვის საგეგმო მაჩვენებლის შესასრულებლად. იმისათვის, რომ შესრულდეს საგეგმო მაჩვენებელი საშუალო დღიური შემოსავლის ოდენობა თვის დარჩენილ პერიოდში უნდა გაიზარდოს 2,3-2,5 მილიონი ლარის დონეზე.

ამასთან, შემოსავლების მობილიზაციაში გასულ პერიოდში არსებული ჩამორჩენის გამოსასწორებლად საგადასახადო და საბაჟო სამსახურების მიერ ყოველდღიური მობილიზაციის დონე წლიური საგეგმო მაჩვენებლების შესრულების მიზნით უნდა გაორმაგდეს.

გასულ კვირაში შიდა სავალუტო ბაზარზე ლარის ბანკნოტური კურსი სტაბილურობით ხასიათდებოდა.

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე კვირის ბრუნვამ 4,6 მლნ ამერიკული დოლარი შეადგინა. კომერციული ბანკების მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე ეროვნულმა ბანკმა დაფარა. ბანკთაშორის ბირჟაზე დფიქსირებული ოფიციალური კურსი კვირის განმავლობაში ორჯერ შეიცვალა და კვირის ბოლოს 1 აშშ დოლარი - 1,277 ლარი მაჩვენებელზე დფიქსირდა.

12 ნოემბერს გაიმართა ეროვნული ბანკის ბანკთაშორისი საკრედიტო რესურსების აუქციონი, სადაც თანხების განთავსების ვადა 1 კვირით განისაზღვრა. გარიგებათა საერთო მოცულობამ 440 ათასი ლარი, ხოლო საპროცენტო განაკვეთმა 13% შეადგინა. ეროვნულმა ბანკმა გაიცა 400 ათასი ლარის საკრედიტო რესურსი.

14 ნოემბერს გაიმართა ბანკთაშორისი საკრედიტო რესურსების აუქციონი, რომელშიც თანხების განთავსების ვადა 1 თვით განისაზღვრა. გარიგებათა საერთო მოცულობამ 45 ათასი ლარი, ხოლო საპროცენტო განაკვეთმა 32% შეადგინა.

ამავე დროს გამართული აუქციონის მეორე რაუნდზე (თანხების განთავსების ვადა 3 თვე) გარიგებათა საერთო მოცულობამ 900 ათასი ლარი, ხოლო საპროცენტო განაკვეთმა 32% შეადგინა. მთლიანი თანხა ეროვნულმა ბანკმა გაიცა.

"სოციალურ-ეკონომიკურ ინფორმაციის" ცნობით 8-14 ნოემბრის პერიოდში სამომხმარებლო ბაზარზე დფიქსირდა ფასების, სასურსათო საქონლის და მომსახურების ტარიფების უმნიშვნელო ზრდა, რაც, როგორც სავარაუდოა, დაკავშირებულია ზამთრის სეზონის მოახლოებასთან. სასურსათო საქონლიდან გაძვირება აღინიშნა ქათმის ხორცზე 3,25 ლარიდან 3,65 ლარამდე (12,3%), ხოლო მომსახურების ტარიფების ზრდა გამოიწვია ბენზინის გაძვირებამ 40 თეთრიდან 41 თეთრამდე (2,5%).

ფასების ინდექსის ჯამური მაჩვენებელი ამავე პერიოდში გაზრდილია 0,23 პროცენტით. მათ შორის მთლიანად სასურსათო საქონელზე ფასები მომატებულია 0,62 პროცენტით, ხოლო მომსახურებაზე - 0,02 პროცენტით.

მერიდიანი

მსოფლიო ეკონომიკა

მიიღებს რუსეთი 340 მილიონს?

მთელი მსოფლიოსთვის კარგადაა ცნობილი, რომ რუსეთის ეკონომიკა თითქმის 5 წელია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წყალობით ინარჩუნებს შედარებით სტაბილურობას.

ახლახანს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ განაახლა განხილვა იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს რუსეთი თავის ვალდებულებებს სსფ-ს გაფართოებული დაფინანსების პროგრამასთან (EFF) დაკავშირებით.

ფონდის ტექნიკურმა ჯგუფმა კი უკვე დაიწყო მუშაობა და აანალიზებს მთავრობის მიერ გატარებულ საგადასახადო პოლიტიკას.

მოსკოვში იმყოფება სსფ-ს მისია, რომელიც რუსეთის ფინანსთა მინისტრის ალექსანდრე ლივშიცის განცხადებით, დედაქალაქში 10 დღეს დაჰყოფს და გასცემს პასუხს მთავარ შეკითხვას: ბოლოს და ბოლოს მიიღებს თუ არა რუსეთი EFF-ის სამწლიანი კრედიტის ტრანშს, რომელიც 340 მლნ დოლარს შეადგენს და რომელიც ჯერ კიდევ ოქტომბრის დასაწყისში უნდა დამჯდარიყო ცენტრალური ბანკის ანგარიშზე. აღსანიშნავია ისიც, რომ EFF-ის კრედიტის მთლიანი მოცულობა 10,1 მლრდ დოლარია.

"ჩვენ გვაქვს იმედი, რომ საკითხი რუსეთის ფედერაციის ინტერესების შესაბამისად გადაწყდება, მაგრამ ამის სრული გარანტია, რა თქმა უნდა, არ არსებობს. სავალუტო ფონდის მისია ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს იმას, თუ როგორ მიმდინარეობდა ფედერალურ ბიუჯეტში გადასახადების აკრეფა", - ამბობს ფინანსთა მინისტრი.

ბევრმა, ალბათ, არ იცის აღნიშნული 340 მილიონი ოქტომბერში რატომ ვერ მიიღო რუსეთმა. სტატისტიკური მონაცემებით, სექტემბერში მნიშვნელოვნად შემცირდა გადასახადების აკრეფა და ეს გახდა იმის მიზეზი, რომ სსფ-ს მისიამ დირექტორთა საბჭოში რუსეთს არ გაუწია რეკომენდაცია, რათა ქვეყანას მიეღო კრედიტის ოქტომბრის ტრანში.

გასულ თვეში სიტუაცია რამდენადმე გამოსწორდა, თუმც ეს კიდევ არ არის საკმარისი. სპეციალისტები გულდასმით აანალიზებენ ოქტომბრის შედეგებს და არადამაკმაყოფილებელი მონაცემების მიღების შემთხვევაში საქმეს ფინანსთა მინისტრის "ნიანგის ცრემლები" ნამდვილად ვერ უშველის.

რუსებს იმის იმედიც აქვთ, რომ სექტემბრის დასაწყისში სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა მიშელ კამდესიუმ მთლიანობაში დადებითად შეაფასა რუსეთის საფინანსო პოლიტიკა.

როგორც ეტყობა, კამდესიუს ქათინაური მილიონების მისაღებად არ კმარა. მეორე ევროპული დეპარტამენტის თავმჯდომარემ, რომელიც სავალუტო ფონდის რუსეთში ყოველთვიურ მისიებს ხელმძღვანელობს, კატეგორიულად მოითხოვა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გაზრდა. აგრეთვე აღნიშნა, რომ მთავრობამ უარი უნდა თქვას სამამულო წარმოების ალკოჰოლური სასმელების მიმართ პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებაზე. რაც ყველაზე დამაფიქრებელია, მისიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს წესი, რომელიც არარეზიდენტების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მუშაობას შეზღუდავს. მიუხედავად ამისა, რუსეთის წარმომადგენლები თავს



იწყნარებენ და აცხადებენ, რომ ბოლო ორი მოთხოვნა არ არისო კატეგორიული.

რაც შეეხება რუსებისთვის ყველაზე მტკივნეულ საკითხს - ალკოჰოლს.

"მე არ მიმაჩნია, რომ ამაზე ყურადღების გამახვილება ღირდეს", - არ ცხრება ფინანსთა მინისტრი.

თუმცა, სავალუტო ფონდს რამდენად სათვალავში ჩასაგდებად მიაჩნია ლივშიცის ასეთი განცხადებები, ამაზე რუსული ოფიციოზი სდუმს.

ყველაზე უფრო რეალურია, რომ სსფ-მ მოხსნას თავისი მოთხოვნა, რომელიც ფასიანი ქაღალდების ბაზარს შეეხება. სპეციალისტების აზრით, ერთადერთი ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც რუსეთში სტაბილურად მუშაობს, არის ფასიანი ქაღალდების ბაზარი და მის მუშაობაში ცვლილებების შეტანა დესტაბილიზაციის ტალღას გამოიწვევს.

ოქრო გაძვირდა

გასული კვირის განმავლობაში ოქროს ფასმა 4 პუნქტით აიწია და 383,00 დოლარს მიაღწია. დილერებს მიაჩნით, რომ ეს ამერიკის შეერთებული შტატების ვალუტის კურსის დაცემამ გამოიწვია.

ძვირფასი ლითონები ახლა ძალიან იზიდავს იმ ინვესტორებს, რომლებიც უცხოური ვალუტის დიდი პარტიებით ვაჭრობენ.

სპეციალისტების აზრით, თუ დოლარის კურსი არ გახდა სტაბილური, ოქროზე ფასი უახლოეს ორ კვირამიც განაგრძობს ზრდას.

ალუმინის ფასი სტაბილურია

ლონდონის ლითონების ბირჟაზე სამთვიანი ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით ალუმინი ოდნავ გაიაფდა და უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე ხშირად იყო დაფიქსირებული. დილერების აზრით, ალუმინის ფასი შესაძლოა გაიზარდოს, რადგანაც მოსალოდნელია, რომ მის მწარმოებლებს შეუმცირდებათ მარაგი.

სპილენძის ღირებულება იმატებს

სამთვიანი ფიუჩერსული კონტრაქტებით ლონდონის ბირჟაზე სპილენძის ფასმა ერთ ტონაზე 2000 დოლარს გადააჭარბა და 2018 დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ორი თვის მანძილზე ბირჟაზე ამ ლითონის მარაგი 60 პროცენტით შემცირდა. სპეციალისტები თვლიან, რომ ბევრ ბიზნესმენს არ აწყობს ფასის ასეთი ზრდა და უახლოეს ხანში ბირჟაზე ალბათ სპილენძის დიდ პარტიას შემოიტანენ.

ნიკელის ფასი იზრდება

ლონდონის ბირჟაზე უკანასკნელი კვირის განმავლობაში ნიკელის ფასმა თითქმის 200-ჯერ დაიწია და 7145 დოლარი შეადგინა. თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ზამთრის დადგომასთან ერთად რუსეთში ჩაიკეტება დუღინკის პორტი, საიდანაც ხდება ნორილსკის ნიკელის ტრანსპორტირება. ეს, ბუნებრივია, მსოფლიო ბაზარზე ნიკელის გაძვირებას გამოიწვევს.

ნავთობი ძვირდება

ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით (დეკემბრის) ლონდონის ნავთობის საერთაშორისო ბირჟაზე ნავთობის ფასმა თითქმის ერთი პუნქტით მოიმატა და ერთ ბარელზე 23,8 დოლარი შეადგინა. დილერების თქმით, ეს იმან გამოიწვია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის სამინისტრომ გააკეთა განცხადება ქვეყანაში ნავთობის მარაგის 2,1 პროცენტით შემცირების შესახებ.

შაქარი გაიაფდა

მარგის კონტრაქტების თანახმად ლონდონის ფიუჩერსულ ბირჟაზე თეთრი შაქრის ფასი 304 დოლარამდე დაეცა. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ 1997 წელს ამ კულტურის მსოფლიო მოსავალი 1 პროცენტით მეტი იქნება 1996 წელთან შედარებით.

სწორედ ამითაა გამოწვეული შაქრის თანდათანობით გაიაფება.

''გაზ''-ში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი



არც თუ ისე დიდი ხნის უკან ავტომობილი "გაზ-24" საბჭოთა კავშირის უზარმაზარ სივრცეში ყველაზე პრესტიჟულად ითვლებოდა. უცხოური ავტომობილების მასობრივად შემოსვლის შემდეგ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. "ოცდაოთხმა" იაფფასიან იაპონურ მანქანებს კონკურენცია ვეღარ გაუწია და ქარხანა იძულებული გახდა უფრო დახვწილი და მოჯნილი გაეხადა მარკეტინგული სამსახური.

როგორც ცნობილი გახდა, "გაზ"-მა გადაწყვიტა წლის ბოლომდე მოახდინოს გასაყიდი ქსელის სრული რეორგანიზაცია. ხელმძღვანელობას მტკიცედ აქვს გადწყვეტილი გაარკვიოს ურთიერთობა თავის დილერებთან. ამით დირექტორატი იმედოვნებს, რომ გაზრდის გაყიდვის მოცულობას და გააუმჯობესებს ფულის უკან მიღებას.

ცვლილებების შემდეგ შესაძლებელი გახდება, რომ რუსეთის მთელს ტერიტორიაზე მოცემული მარკის ავტომობილს თანაბარი ფასი ჰქონდეს. ეს შეზღუდავს ცალკეული სპეკულიანტების მოქმედების არეალს.

რეალიზაციისა და მარკეტინგის დირექტორს აუცილებლად მიაჩნია, რომ რუსეთის ფედერაციის ყველა ეკონომიკურად ძლიერ რაიონში შეიქმნას მომარაგების რეგიონული დირექცია. ასეთ დამოუკიდებელ "ქვედანაყოფებს" ექნებათ ავტომობილებისა და მარაგნაწილების საწყობები. ეს კი მნიშვნელოვნად გაზრდის ოპერატიულობას. რუსეთის ნებისმიერ ოლქში მსურველი 3 დღის განმავლობაში შესძლებს მიიღოს "გაზ"-ის ნებისმიერი მოდელის ავტომობილი. სპეციალისტების ვარაუდით, ასეთი "დასავლური" მიდგომა ქარხნის პროდუქციის გაყიდვის მოცულობას მნიშვნელოვნად გაზრდის.

გარდა ამისა, დილერებს ხშირად უგროვდებათ გაუყიდავი მარაგნაწილები. რეორგანიზაციის შემდეგ ისინი შესძლებენ ზედმეტი საქონელი რეგიონალურ დირექციას უპრობლემოდ მიაწოდონ. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ავტომობილების ტექნიკური და საგარანტიო მომსახურების ოპერატიულობა.

მოგეხსენებათ, ყოველგვარი ცვლილება და რეორგანიზება (მითუმეტეს ქარხანაში) დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. "გაზ"-ის დირექციამ ამ მიზნით 30 მლრდ დოლარი გამოყო. ავტოქარხანას აქვს სახსრები, რათა ყოველ ოლქში, მხარესა და რესპუბლიკურ ცენტრში იყოლიოს გენერალური წარმომადგენელი, რომელიც დამოუკიდებლად წარმართავს გაყიდვისა და სერვისის ორგანიზაციას.

გენერალური დირექტორი შეიძლება გახდეს ნებისმიერი დილერი, რომელსაც აქვს 1000 კვ.მ ღია მოედანი, 500 კვ.მ საწყობებისათვის და 10 ტექმომსახურების უბანი. თანხების ბრუნვა არ უნდა იყოს 5 მილიარდ რუბლზე ნაკლები თვის განმავლობაში.

ამჟამად ყველაზე პოპულარულ "ვოლგებსა" და "გაზელებს" ყიდის საკაციო საზოგადოება "გაზ ტექმომსახურება" რომელსაც 175 საკუთარი დილერი აქვს.

მნიშვნელოვნად შეიცვლება ფულის "ჩათვლის" მექანიზმი.

დილერი იმ შემთხვევაში მიიღებს ავტომობილების ახალ პარტიას, თუ წინასწარ გადარიცხავს ბანკში თანხას.

ეს, რა თქმა უნდა, შეამცირებს დილერების რაოდენობას (საბრუნავი სახსრების უქონლობის გამო), მაგრამ უსაფრთხოების მხრივ უფრო დამაჯერებელი გახდება.

ასეთი გიგანტური ქარხნისთვის კი უსაფრთხოება საკმაოდ დიდი ფაქტორია.

ვალუტის ოფიციალური კურსები

(დსთ და ბალტიისპირეთი)

რესპუბლიკა (ვალუტა)	1$	ცვლილება	რუს.რუბ. 1000	ცვლილება
აზერბაიჯანი (მანათი)	4150.0	-5	760	0
სომხეთი (დრამი)	438.2	+17.18	79.3	+2.5
ბელორუსია (ბელ.რუბ.)	15100.0	+100	2750	0
საქართველო (ლარი)	1.275	+0.005	0.225	0
ყაზახეთი (თენგე)	69.85	+0.35	13.6	0
ყირგიზეთი (სომი)	15.72	+0.32	2.8707	+0.0466
ლატვია (ლატი)	0.550	-0.004	0.104	+0.0025
ლიტვა (ლიტი)	4.0	0	0.7295	-0.0043
მოლდოვა (ლეი)	4.66	+0.048	0.847	+0.003
რუსეთი (რუბლი)	5481.0	+25	-	-
ტაჯიკეთი (ტაჯ.რუბ.)	301.0	0	56.0	0
თურქმენეთი (მანათი)	4045.0	-5	738.95	-4.03
უკრაინა (გრივნა)	1.87	+0.006	0.341	+0.009
უზბეკეთი (სუმი)	48.1	+4.6	8.79	+0.8
ესტონეთი (კრონა)	12.0484	-0.044	-	-

მყარი ვალუტის კურსები

	აშშ	ინგლ.	შვეიც.	100 პ.	1000 იტალ	გერმ.	ფრანგ.
ფრანგული ფრანკი	5.0965	8.5023	4.0001	4.55752	3.3563	3.3786	-
გერმანული მარკა	1.5085	2.5166	1.1840	1.3542	0.9934	-	0.2959
იტალიური ლირა	1513.5	2533.2	1191.8	1363.2	-	1006.6	297.95
იაპონური იენა	111.40	185.83	87.430	-	73.359	73.845	21.857
შვეიკარ. ფრანკი	1.2741	2.1255	-	1.1438	0.8391	0.8446	0.2499
ინგლისური გირვ.	0.5994	-	0.4704	0.5381	0.3948	0.3973	0.1176
აშშ დოლარი	-	1.6682	0.7848	0.8977	0.6585	0.6629	0.1962

ძირითადი საბირჟო საქონლის ფასები მსოფლიო ბაზარზე

ოქრო ($ უნც)	383.00	ნავთობი ($ ბარელი)	23.81
ალუმინი ($ ტ)	1432.5	ხორბალი	
სპილენძი ($ ტ)	2018	(ინგ.გირვ. ტ)	95.20
ნიკელი ($ ტ)	7145	თეთრი შაქარი ($ ტ)	304.50

"მხოლოდ ჩემი პროფესია მიყვარს"

დიდმა მსახიობმა მარჩელო მასტროიანნიმ კითხვაზე - მიაჩნია თუ არა თავი ხელოვანად, უპასუხა, რომ მას მხოლოდ თავისი პროფესია უყვარს. - თეატრში არ დავდივარ, კინოს არ ვუყურებ, მუზეუმები არ მაინტერესებს, შეიძლება მე გონებაშეზღუდული ადამიანი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ნათესავებში ბევრი ცნობილი მოქანდაკეცაა და მხატვარიც, - დასძინა მან.

თურმე, მარჩელო მასტროიანს არ უყვარს თავისი ფილმების ნახვა, იგი გადაღებულ ფილმს დასრულებულ სიყვარულს ადარებს. მსახიობები კი, როგორც წესი, ახალ-ახალი სიყვარულის ძიებაში არიან. საერთოდ, მის ცხოვრებაში ყველაზე უფრო ღრმა კვალი გაუვლია დედის სიყვარულს.

რაც შეეხება ქალებთან ურთიერთობას, მარჩელო მასტროიანი ამბობს, რომ კინო სხვაა, ცხოვრება და სინამდვილე კი სულ სხვა... ისინი ერთმანეთს არ ჰგავს. თუმცა დიდ მსახიობს არც კინოში, არც თეატრში და არც რეალურ ცხოვრებაში არ მოჰკლებია არც მაყურებლების, და არც მეგობრების სიყვარული. აღარაფერს ვამბობთ ქალებზე, რომლებიც მის ირგვლივ მრავლად იყნენ, როგორც ხელოვნებაში, ისე რეალურ ცხოვრებაში...

პრინცი და მუფტი

მაღალი დონის ვიზიტთა დიპლომატიური ოქმი ითვალისწინებს საზღვარგარეთელი სტუმრებისათვის საჩუქრის მირთმევას, ამიტომაც იყო, რომ ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრემ უზბეკეთში სტუმრობის დროს სიამოვნებით მიიღო ძვირფასი საჩუქარი, რომელიც მას მუფტი მუჰტარ აბდულაევმა გადასცა. მუფტმა უფლისწულს ძღვნად მიართვა ეროვნული სამოსი, თანაც იშვიათი. მან, ალბათ, გაითვალისწინა უფლისწულის ახლანდელი განქორწინების ამბავი და მას საქორწინო ხალათი უბოძა.

ვეფოსავალი სოკოსავით იზრდება

მაკედონიის რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის თითქმის ნახევარი შეადგინა სოკომ და ბალკანეთის ამ ქვეყანას 23 მილიონი დოლარის შემოსავალი მოუტანა. ადგილობრივი სავაჭრო პალატის ერთ-ერთი ხელმძღვანელის აზრით, ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგანაც ყველა სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ქვეყნის გარეთ გატანით მიღებულია მხოლოდ 30 მილიონი დოლარი. მაკედონური სოკოს მთავარი შემსყიდველი არის იტალია, რომელმაც 17 მილიონის პროდუქცია გაასაღა. იტალიას მისდევენ სოკოს ისეთი დიდი მომხმარებელი ქვეყნები, როგორებიცაა გერმანია, საფრანგეთი და შვეიცარია.

ბ ე ი ო ლ ე ბ ი

"ნარკობბებია"

მექსიკის პოლიციამ დააპატიმრა ქალაქ მონტერეის მკვიდრი 82 წლის სოფია ელენე გარსია კაუდგიო. ქალბატონს ბრალად ედება ნარკოტიკული ნივთიერებებით სკოლის მოსწავლეთა მომარაგება. მის "კლიენტთა" შორის 13 წლის მოზარდებიც კი იყვნენ. "ნარკობბეის" საქმიანობა დიდი ხანია ცნობილი იყო მთელ ოლქში. იგი მარიხუანას ასაღებდა მთელი 11 წლის განმავლობაში, მაგრამ როგორც ანდაზა გვასწავლის, კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს და აი, ერთხელაც რაღაც შეეშალა, სიფხიზლე მოადუნა და... დაპატიმრების მომენტში მას 14 ცალი ნარკოტიკით დატენილი სიგარეტი უპოვეს, რაც სრულიად საკმარისია დაპატიმრებისათვის. მაგრამ მკითხველის იმედს გაცრუება უწერია. ქალბატონი გადარჩება ციხეს, რადგანაც მექსიკური კანონის მიხედვით 60 წლის ზემოთ მოქალაქენი საერთოდ თავისუფლდებიან სასჯელისაგან.

ბიბლიას კითხულობენ?

ბიბლიას, როგორც ცნობილია, დიდ პატივს მიაგებენ ამერიკაში. ბიბლიაზე იფიცებენ... ყოველი ათი ამერიკელიდან ცხრას სახლში უდევს ეს წმინდა წიგნი. აშშ-ის მოქალაქეთა თითქმის ოთხმოცდაათ პროცენტს ბიბლია ყველაზე მნიშვნელოვან წიგნად მიაჩნია, რაც კი დაწერილა კაცობრიობის არსებობის განმავლობაში. იგი პოპულარობით ბევრად უსწრებს ექიმ სპოკის წიგნს ბავშვთა მოვლისა და აღზრდის შესახებ.

მაგრამ... აშშ-ის მაცხოვრებელთა მხოლოდ ნახევარი თუ კითხულობს მას.

ამ სიცივეში ვინ დაუდგება წინ ბუნისის ხიბლს?

ჩვენთან უკვე ზამთარმა მოგვიკაკუნა. ხეები თანდათანობით იძარცვება. ჰაერში სიცივის სურნელი დატრიალდა. არადა, სულ მცირე მანძილი გვაშორებს აღმოსავლეთ საქართველოს ბუნებრივ ბაღებამდე, სადაც დღესაც მწვანე მზის ქვეშ თვლემენ გარდასულ დროთა მონუმენტები. რამდენიმე საათი თვითმფრინავით და უკვე ტუნისში ხართ. რა შეედრება ხმელთაშუა ზღვის მოალერსე ტალღებს, მით უმეტეს ახლა, როცა წინ ზამთრის სუსხია.



"ნარკობბეის" ბანკნოტები

ეგონში, მინესოტას შტატში კრეის კვლევითმა გაერთიანებამ, რომელიც "სალიკონ გრეფიქს, ინკ"-ში შედის, პირველად წარადგინა ახალი სუპერკომპიუტერი, რომელსაც შეუძლია წამში ტრილიონი კალკულაციის შესრულება. მისი ავტორი კრეი ამას ვერ მოესწრო, იგი სულ რამდენიმე კვირით ადრე ავტოკატასტროფაში მიღებული ჭრილობებით დაილუპა.

კრეი ბარდაიცვალა, მაგრამ მისი კომპიუტერი ცოცხლობს

ახალი კომპიუტერი-საოცრება, რომელსაც "კრეი TZE-900" ეწოდება, პირველია ეგრეთწოდებული ტერაფლოპური სისტემებიდან ("ინტელ კორპორეიშნი" ახლა გეგმავს მსგავსი ელექტროგამომთვლელი მანქანის შექმნას). ამ ახალი კომპიუტერის მიწოდება მომავალი წლის მეორე კვარტალში დაიწყება. აშშ-ის შიდა ბაზარზე მისი ფასი 500 000 დოლარი და მეტი იქნება.

"კრეი TZE-900" შედგება ათასობით მიკროპროცესორისაგან, რომლებიც მუშაობენ ან პარალელურად ან ერთობლივად გაანგარიშების პროცესის დაჩქარებისათვის. ახალი სუპერკომპიუტერის ტერაფლოპური სისტემა საშუალებას იძლევა რამდენიმე დღეში შესრულდეს ისეთი კალკულაცია, რომელსაც დღესდღეობით ბაზარზე და ექსპლოატაციაში მყოფ ყველაზე "ჩქაროსნულ" კომპიუტერებზე სულ ცოტა სამი თვე დასჭირდებოდა.

კრეის ახალ სუპერკომპიუტერს გამოიყენებენ ინჟინრები, ექიმები და სხვა მკვლევარები კომპლექსური გაანგარიშებისთვის, ასევე სამგანზომილებიანი საგნების მოდელირებისთვის.

სულით ძლიერნი

კუნძულ სარდინიაზე ორმა იტალიელმა მონაზონმა და მაიამ და და რომალიამ - სამი დღეღამე გაატარეს გამოკეტილებმა. ისინი საბავშვო სახლის ზემო სართულიდან ლიფტით ეშვებოდნენ, როცა მოკლე ჩართვამ დენი გამოურთო მექანიზმს. ეს მოხდა პარასკევ საღამოს, როცა შენობიდან ყველა წასული იყო, ბავშვებიცა და მომსახურე პერსონალიც. და აი, მხოლოდ ორშაბათს ახალ ცვლაში მოსულმა მონაზონმა მათი ჩუმი კვნესის ხმაზე განგაში ატეხა. პოლიციამ მალე გაათავისუფლა საბრალო მონაზვნები.

დინოზავრები ასტეროიდთა მსხვერპლი გამხდარან

ლონდონის იმპერიული კოლეჯისა და ბუნებისმეტყველების ისტორიის მუზეუმის თანამშრომლები ამტკიცებენ, რომ დინოზავრთა გადაშენების საიდუმლო ამოხსნილია. მექსიკის იუკატანის ნახევარკუნძულის გეოლოგიური გამოკვლევის შემდეგ მათ დაასკვნეს, რომ ეს ცხოველები გადაშენდნენ მას შემდეგ, რაც 65 მილიონი წლის წინათ დედამიწაზე გიგანტური ასტეროიდი ჩამოვარდა. დარტყმის ძალა უდრიდა 10 000 წყალბადის ბომბის აფეთქებას. ყოველივე ამის შედეგად დაიწყო მსოფლიო "ატომური ზამთარი", რამაც გამოიწვია ისტორიამდელი ლევიაფანების დაღუპვა.

ზონა, სადაც აფეთქება მოხდა, ამჟამად წყლის ქვეშ მდებარეობს. გეოლოგიურმა გაზომვებმა აჩვენეს, რომ ასტეროიდის მიერ წარმოქმნილი კრატერი დიამეტრით 200 მილს აღწევდა. აფეთქების შედეგად ჰაერში ისეთი რაოდენობით მტვერი და ნაადგის ნაკვეთები დატრიალდა, რომ მზის სხივი პლანეტის ზედაპირამდე რამდენიმე თვის განმავლობაში ვეღარ აღწევდა. ეს კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ცოცხალი ორგანიზმების 3/4 განადგურებულიყო. ეს შეეხო როგორც ხმელეთის, ისე ზღვის ბინადართაც, მათ შორის დინოზავრებსაც.

კროსვორდი



შვეულად: 1. ენის ანთება. 2. სახელმწიფო დასავლეთ აზიაში. 3. მატრიცინა, ნულისაგან განსხვავებული მინორების რიგებს შორის უდიდესი. 4. საქონელზე, პროდუქციაზე დაკრული საფაბრიკო ან სავაჭრო ნიშანი - იარლიყი. 5. ინფარქტის დროს გამოჟონილი სისხლით გულის ირგვლივ ბლოკირება. 6. სოფელი საგარეჯოს რაიონში. 7. უმაღლესი თავადაზნაურული მემკვიდრეობითი ტიტული ინგლისში. 8. ჯგუფი, კრებული. 9. სახსრების ანთება. 12. ბოსტნეული მცენარე შროშანისებრთა ოჯახისა; მოჰყავთ სპეციფიკური სუნისა და გემოს ბოლქვისათვის; იხმარება საჭმლის შესაკაზმად. 14. უარყოფითი თვისება, ნაკლი, ზადი. 16. თხელი ქსოვილი, რომელიც ყოფს ერთმანეთისაგან ღრუებს, კუნთის ქსოვილებს და სხვ. 17. სტანდარტიზირებული დავალება, რომელიც საშუალებას იძლევა გამოსაცდელი პირის უნარ-ჩვევების გაგებისა. 18. სიმღერაში საჰმო აპარატის გადასვლა სასუნთქი მდგომარეობიდან სასიმღეროზე. 19. პატარა ტანის ცხენი. 23. წლის ერთ-ერთი თვე. 24. ძველი რომაელი პოლიტიკური მოღვაწე, ორატორი და მწერალი. 25. ხელოსანი, რომელიც აშენებს ქვის, აგურის და მისთ. შენობას. 27. ორგანიზმის მდგომარეობა, როდესაც სასიცოცხლო პროცესები დროებით შეწყვეტილი ან დაქვეითებულია. 28. უმაღლესი მიზანი ადამიანის მოქმედებისა, მოღვაწეობისა, მისწრაფებისა. 30. დაბეჭდილი ტექსტის შემცველი ქაღალდის ფურცელი. 33. ქალაქი ბაშკირეთში. 34. ალ. ყაზბეგის ნაწარმოების პერსონაჟი. 38. ქალაქი სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში. 40. მდინარე ბაშკირეთში.

თარაზულად: 1. მედიცინის დარგი. 10. ქოქოსის პალმის კაკლის მზეზე გამხმარი ზეთოვანი ენდოსპერმი. 11. ისტორიული უბანი თბილისში. 13. სოფელი მარნეულის რაიონში. 15. გაზაფხულის ერთი ან მრავალწლოვანი მცენარე, იკეთებს მოწითალო-ლურჯ თავდახრილ სურნელოვან ყვავილს. 17. ძვ. საბერძნეთში სახელმწიფო ხელისუფლების ფორმა. 19. ბერძნული ანბანის ასო. 20. სპორტული მანქანების ფირმა. 21. იაპონიის დედაქალაქი. 22. სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიების კომპლექსი პირის ღრუს გაჯანსაღების მიზნით. 25. ცნობილი ილუზიონისტი. 26. ბილიარდის სათამაშო ჯოხი. 29. მატერიალურ სხეულთა თვისება, უცვლელად შეინარჩუნოს თავისი მოძრაობის ან უძრაობის მდგომარეობა. 31. სიბნელეში ბუნდოვნად გამოჩენილი ადამიანი, ცხოველი, საგანი. 32. ქალაქი სამხრეთ საქართველოში. 33. სოფელი გალის რაიონში. 35. აშშ-ს შტატი. 36. დიდი ზომის მტაცებელი ქვეწარმავალი; გავრცელებულია ტროპიკულ ქვეყნებში. 37. ლატვიელი ფოლკლორისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე. 38. ინდიელთა ტომი, რომელიც XVI საუკუნეში ცხოვრობდა მდინარე ჰილისა და სიესა მაღრეს მთისწინეთში. 39. ლობიოს მსგავსი ერთწლოვანი პარკოსანი მცენარე; იყენებენ ცხოველების საკვებად; მისი მარცვლისაგან ამზადებენ ზეთს, რძეს და სხვ. 41. ქალაქი იაპონიაში. 42. მდინარე ბაშკირეთში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 2. საათა; 4. კანალიზაცია; 6. ბარდა; 8. ლაპოტი; 9. ალერსი; 13. ეჯიბი; 14. აბრევიატურა; 15. იჯარა; 16. ჭორფლი; 18. მანჭკვალა; 20. ბლანკი; 22. კაკუტი; 23. აპეური; 27. ილბალი; 28. ეპიცენტრი; 29. ალთაფა; 30. ჰალვა; 32. თხილამურები; 34. კერძო; 36. ანგარი; 38. ბოროტი; 39. ატომი; 40. ემანსიპაცია; 41. ატამი.

შვეულად: 1. ბირჟა; 2. სოფოკლე; 3. ასფალტი; 4. კატორღა; 5. ალგებრა; 6. ბუასილი; 7. აქსიომა; 10. ჯიბრი; 11. ჭინკა; 12. ვაზნა; 16. ჭიჭვი; 17. იუანი; 18. მრუდი; 19. აბედი; 20. ბირკა; 21. იახტა; 24. კბილა; 25. ფერმა; 26. ძაბრი; 30. ჰიგიენა; 31. ათინათი; 32. თიბათვე; 33. ინტრიგა; 34. კანტორა; 35. ოწინარი; 37.ქიმია.

გაზეთის დამფუძნებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის ხახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი. „მესაკუთრე" რეგისტრირებულია თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოში. სარეგისტრაციო ნომერია 5/4-909.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.

რედაქციაში დასაბეჭდად წარმოდგენილ წერილებში დასახელებული ფაქტების, ციფრების, სახელებისა და ეგარების სიზუსტეს უზრუნველყოფენ ავტორები. დედნებში დაშვებულ შეცდომებზე რედაქცია პასუხს არ აგებს. რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება. დედნები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ავტორებს ვთხოვთ ნუ შემოგვთავაზებენ თაბახის 7 გვერდზე ეცალ წერილს.

რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.11.96.

მესაკუთრე
ინდექსი 66630

რედაქციის მისამართი:
მ. ზანდუკელის ქ. №1
ტელ: 99-93-07; 29-35-90.

გაზეთი დაიბეჭდა
ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
„სამშობლოში" მ.კოსტავას ქ. №14

სარედაქციო
კოლეგია